რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 11 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 57 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 57

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ოლა დავითის ასული სუხიევისა, მამა გიორგი, დედა მარინე. შვილები: კონსტანტინე, ელენა და რუსუდან, ძმები, დები, რძლები და სიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 11 მარტს დილის ათ საათზე ნაძალადევის ივერიის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

**ილია გიორგის ძე სუხიევის**

სულის მოსახსენებლად. (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე სტეფანეს ასული მჭედლიშვილისა, ძმები: კოტე და ნიკოლოზი იოსების ძე მჭედლიშვილები, დები: მარიამი, თამარა იოსების ასულნი მჭედლიშვილები, ნინო იოსების ასული იმედაშვილისა და სიძე ვანო იობის ძე იმედაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი, შვილი, ძმა და სიმამრიშვილი

**ვანო (ივანე) იოსების ძე მჭედლიშვილი.**

ცხედარს გამოასვენებენ კვირას, 11 მარტს, წმინდა მარინეს ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, პანაშვიდები ყოველდღე საღ. 6 საათ. თავის სახლში, თელავის ქუჩა, სახლი № 47. (2—2)

ქვრივი, ვერაგულათ მოკლულ

**გიორგი ვასილის ძე დალაქიშვილისა**, ნადეჟდა მიხეილის ასული, ულრმეს მადლობას უძღვნის ამიერ-კავკასიის კომისარიატის წევრებს, ქალაქ თფილისის თვითმართველობას, ამიერ-კავკასიის და საგუბერნიო სასურსათო ორგანიზაციებს, კავკავის ქართველობას; განსაკუთრებით ი. ზ. სხირტლაძეს, ამხანაგებთ და ნაცნობთ და ყველა იმათ, ვინც პატივი სცა საყვარელ ქმრის ხსოვნას. (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ტერეზი გიორგის ასული, შვილები: იაკობ, ნიკო, იოსებ, ვასო, გუნია კაპლატაძისა, სონია ვადაჭკორიასი, გოია და აპოლინა ხაფთასები. რძლები: ლიდა ბექანის ასული, ელისო ანტონის ასული, სიძე სიმონ იასონის ძე ვადაჭკორია, შვილის შვილები: ლიუბა და სევერიან კოპლატაძეები, ნადია და ვალოდია ხაფთასები, ამით აუწყებენ ნათესავთა დანაცნობთ, რომ დღეს 11 მარტს, ქ. თფილისში, წმ. ნინოს ეკლესიაში და ნიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

**გიგო ნიკოლოზის ძის ხაფთასის**

სულის მოსახსენებლად (1—1)

**არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.**

კვირას, 11 მარტს ამიერ-კავკასიის სეიმის წევრი

**მიხეილ ნიკოლოზის ძე სმირნოვი**

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

**„ეკონომიური განვითარების კანონი და კავკასიის დამოუკიდებლობა"**

ლექცია დაიწყება დღის 12 საათზე. ბილეთები 5 მან.—50 კაპ.-დე, იყიდება ამ თავითვე გაზ. „ბორბის" კანტორაში დილის 10—2 საათ. და საღ. 5—8 საათამდე. ლექციის დღეს კი თვით არტისტულ საზოგადოების შენობაში დილის 10 საათიდან. (3—3)

დღეს, 11 მარტს, დილის 9 საათზე, პუშკინის სახელობის შენობაში (ხარფუხი, მე-5 უბანი) დანიშნულია მე 6 რაიონულ კოლექტივის

**შეერთებული საერთო პარტიული კრება**

ორთაჭალის რაიონის წითელ გვარდიელთა და ყველა პარტიულ წევრებისა (მე-4 და მე-5 სამ. უბნების).

**დღის წესრიგი:** 1) **ევგენი გეგეჭკორის** მოხსენება მიმდინარე მომენტზე.
2) კოლექტივის მუშაობის ანგარიში.
3) პარტიულ მუშაობის მოწყობა.
4) არჩევნები, სარევიზიო კომისიის და კოლექტივის წევრებისა.

**ნაძალადევის თეატრი.**

კვირას, 11 მარტს, ნაძალადევის სცენის მოყვარეთა მონაწილეობით ქურ. „ეშმაკის მათრახის" ფონდის სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება:

**გაიუში—კომისართან.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნ ქ. კამკამიძე, ამირანაშვილი. ბ.ბ. კანდელაკი, ძაძამია, გაბაშვილი, კ. კუტალაძე, ხუბაშვილი, ვ.ჭგაგავა და სვანიძე.
რეჟისორი ძაძამია. გამგე ცერაძე.

**იხსნება ავლაბარში**

**სახალხო უნივერსიტეტი.**

ლექციების კითხვა იქნება სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და სომხურათ, მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ (მესამე რაიონის) კახეთის ქუჩა № 1, ლექციების კითხვა უფასოა. 4—1

**სახალხო სახლი.**

სახ. სახ. არს. ქართვ. წარ. მმარ. წრე **სამშაბათს, 13 მარტს 1918 წ.**

წარმოდგენილი იქნება:

**სოფლის გმირები.**

დრ. 4 მოქ. პ. ირეთელის, სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან „ჩვენი ქვეყნის რაინდი". მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ს. ანკარა, თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუძისა, ბ.ბ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, გელიკურაშვილი, მეტრეველი, თავდგირიძე, სალაყაია, კომახიძე, ხახანაშვილი და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 35 კ-დე

რეჟისორი კ. შათირიშვილი.

რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

(2—1)

**ექიმი**

**დ. ი. ჟორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57, აფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონ: № 5—77.

## იძულებითი ომი

დიდი ხნის ცერემონიების და მისალმებების შემდეგ ოსმალეთის დელეგაციამ ტრაპიზონში უკვე თქვა თავისი სიტყვა: ოსმალეთის მთავრობა ბრესტლიტოვსკში დადებულ ხელშეკრულობის ასრულებას მოითხოვსო. ბრესტის ხელშეკრულობის შინაარსი ჩვენ ვიცით. ბალშევიკების მთავრობამ ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქები დაუთმო ოსმალეთს.

სანამ ოსმალეთის დელეგატები ტრაპიზონში ლამაზ სიტყვებს ამბობდენ, ოსმალეთის ჯარი ჩვენს საზღვრებს უახლოვდებოდა. მაგრამ დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ოსმალეთის უძლურება: მისი ჯარი სრულებით მოკლებულია ბრძოლის უნარს. ამიტომ ოსმალეთს ეტყობა დიდი იმედი აქვს ადგილობრივ ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ თათრების. ოსმალ. ემისარები ერთგულათ მუშაობენ ამ მიზნისთვის. ამ მუშაობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ სომხების სამხედრო ნაწილებს წინ ეღობებოდენ და ფრონტისკენ არ უშვებდენ, აჭარა-ახალციხეში და არტაანში აშკარა აჯანყება მოაწყვეს.

ხელი ხელსა ბანსო, ნათქვამია. ოსმალეთის იმპერიალისტებს ამიერ-კავკასიის დაპყრობა სურთ, ხოლო ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ თათრების გაბატონებულ კლასებს საკუთარ ხალხის დამორჩილება სწადიათ. ოსმალეთს იმდენი თავისუფალი ჯარი არა ყავს, რომ ამიერ-კავკასია დაიპყრას, ადგილობრივ ბეგ-აღალარებსაც საკუთარის ძალით არ შეუძლიათ გლეხთა მოძრაობა ჩააქრონ და გლეხები უმიწა-წყლოთ დასტოვონ. და ამიტომ მეორდება ის, რაც საფრანგეთში მოხდა დიდი რევოლიუციის დროს: თავადებმა და დიდებულებმა გარეშე მტრები მოიწვიეს საფრანგეთის ხალხის დასათრგუნავათ. აქაური დიდებულებიც ოსმალეთს ეპატიჟებიან ამიერ-კავკასიის დასაპყრობათ. საფრანგეთში მეფე ლუი მეთექვსმეტე ხალხს ერთგულებას ეფიცებოდა და ამავე დროს მალულათ, გადაცმული აპირებდა საზღვარ გარეთ გაპარვას და უცხო მტრების შემოყვანას. მუსულმანების და მათთან სხვა ერების მემამულეებიც გაკეთებას ჰპირდებიან ხალხს; ზოგი იმათგანი გარეგნულათ მიწების უფასოთ ჩამორთმევას და გლეხებზე გადაცემასაც კი უჭერს მხარს და იმავე დროს საიდუმლოთ რეალურ ძალას აგდენს და გლეხების სისხლში ჩასახრჩობათ ემზადება. მაგრამ ყოველი მაგალითი მიბაძვას იწვევს მეტადრე მაშინ, როცა ამისთვის თვით ცხოვრებაში ნიადაგი მომზადებულია. როცა ქართველმა გლეხმა უკვე მიიღო მიწა, შეუძლებელია მუსულმანი გლეხი გულზე ხელებდაკრეფილი იჯდეს და თავის ერთმორწმუნე თავადს არ მოსთხოვოს მიწების გადაცემა. ამის ნიშნები უკვე სჩანან: მუსულმან გლეხებში უკვე დაიწყო მოძრაობა, რომელიც ბეგ-აღალარების წინააღმდეგ არის მიმართული.

სწორეთ ამიტომ ჩქარობენ მუსულმანთა გაბატონებული კლასები, რაც შეიძლება ჩქარა შემოუძღვენ ჩვენში ოსმალეთის ჯარს. ამისთვის ისინი ცრუ ხმებსაც კი ავრცელებენ: მოიგონეთ „ვოზროჟდენიე"-ს ქადაგება—ყარსი მივცეთ ოსმალეთს, სამაგიეროთ საქართველოს ხელს არ გვახლებენო. ცბიერ დიპლომატებს სურთ ქართველებში თავდაცვის გრძნობა გაანელონ, რათა შემდეგ, როცა სომხებს მოუღებენ ბოლოს, ჩვენც მოგვდგენ.

ცნობილია, რომ ისეთ გარდამავალ და მოსპობის გზაზე შემდგარ წოდებისათვის, როგორიც თავად-აზნაურობაა, სულ ერთია რომელი სახელმწიფოც იქნება ბატონი—ოღონდ მამულები არ ჩამოართვან და ჩინ-ორდენები უბოძონ. ასეთია ქართველი თავად-აზნაურობა, ასეთია მუსულმანთა ბეგ-აღალარების წოდებაც. ამიტომ სწორეთ საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ შეურიგდებიან ისინი, რადგან საქართველოში ყველაზე უფრო ძლიერია შეგნებით და შეკავშირებით გლეხობა, რომლის მაგალითს თათრის გლეხობა ბაძავს.

ეჭვს გარეშეა, ოსმალეთის ამიერ-კავკასიაში შემოსვლა უპირველეს ყოვლისა დასამარება იქნება იმ საადგილ-მამულო კანონის, რომელიც სეიმმა მიიღო, გლეხებს ჩამოერთმევა ის მიწა, რომელიც მათ დღეს კანონის ძალით ეკუთვნის, მიწების ჩამორთმევას მოყვება რევოლიუციის სხვა მონაპოვებთა გაუქმება და დაბრუნება ისეთის მართვა-გამგეობის, რომელიც ნიკოლოზის დროს გვიხუთავდა სულს.

გურულებმა და საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებმა კარგათ შეიგნეს საქმის ასეთი მდგომარეობა და ბათუმის ოლქის დასაცავათ გაეშურენ. ხალხი არავითარ გაპირვებას არ ერიდება გარეშე მტრის მოსაგერიებლათ. მაგრამ ეს არ კმარა. ამიერ-კავკასიის ფრონტი ერთს მთელს წარმოადგენს და ბათუმის დაცვას მნიშვ. დაეკარგება, თუ დაცული არ იქნება ყარსი და არტაანი. სამხედრო ფრონტის მსგავსათ უნდა გავამაგროთ აგრეთვე შინაური დემოკრატიული ფრონტი. არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა სომხის და თათრის დემოკრატიასთან კავშირი როგორც ეს დღეს არის, მუსულმან და სომეხ გლეხს ისევე აწუხებს უმიწობა, როგორც ქართველ გლეხ-კაცობას. აქ არის ჩვენი ხსნის შესაძლებლობა. შეერთება მთელი დემოკრატიის და სეიმის გარშემო შემოკრება, ყველა ძალების შეკავშირება და ბრძოლისთვის მზადება,—ასეთია მომენტის მოთხოვნილება.

ჩვენ გულწრფელად გვწადია ზავი, მაგრამ არა ნაკლებ გვინდა მიწა და თავისუფლება. საზღვრების დაცვა—რევოლიუციის დაცვაა. ოსმალეთისადმი შესარიგებლათ გაწვდილი ხელი ჰაერში გამოეკიდა. ოსმალეთმა თითონ პირველმა მოგვცა საპატიო ზავის წინადადება, მაგრამ დღეს ის ამ წინადადებას უარყოფს და ომში გვიწვევს.

ჩვენ იძულებული ვართ ეს გამოწვევა მივიღოთ და ფაშების ქვეყანას დავანახოთ, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ იმისთვის არ იბრძოლა მთელი საუკუნე, რომ ახალ მტარვალს ჩაუვარდეს ხელში.

საფრთხე ძლიერია, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ჩვენი ერთობა, მტერს ჩვენი უძლურების იმედი აქვს. დავანახვოთ მას ჩვენი ძალა და ომიც მალე გათავდება.

შეიარაღდით, ამიერ-კავკასიის მოქალაქენო!

## წესიერებისათვის!

ორი სამწუხარო ამბავი დატრიალდა ამ უკანასკნელ დღეებში: ერთია ლეჩხუმის არეულობა, მეორე ახალციხის აჯანყება.

ამ უკანასკნელს აშკარათ ემჩნევა გარეშე მტრის ხელი, ხალხის დაბრმავება და მოტყუილება გარეშედან შემოჩენილი ქვემძრომებისაგან. პირველს, ე. ი. ლეჩხუმის მაზრას კი ემჩნევა ხელი შინაური არევდარევის მოსურნე პირების, რომელნიც ცდილობენ მღვრიე წყალში თევზები დაიჭირონ.

ხალხი კი ერთსა და მეორე შემთხვევაშიაც იტანჯება, იგი ხდება მსხვერპლი ამ უპასუხისმგებლო პირების პროვოკაციის, გულზვიადობის, და ხულიგანურ მისწრაფებების.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი, როგორც რევოლიუციური მთავრობა, როგორც აღჭურვილი რევოლიუციური დემოკრატიის ნდობით ყოველ ღონეს იღებს წესიერების აღსადგენათ.

მხოლოდ ქუთაისის ზოგიერთ წრეებს ვერ შეუგნიათ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ვინც რევოლიუციონურ მთავრობას არ ემორჩილება, იგი რევოლიუციას ღალატობს. დღეს კი ასეთი ღალატი ამასთანავე არის ღალატი მეორე მხრივაც.

გარედან ოსმალეთის ჯარი მოგვდგომია და ჩვენს შემუსვრას ცდილობს. თუ მან გაიმარჯვა—ყველა იხრათ დაგვრჩება—თავისუფლებაც, მიწაც და რევოლიუციაც. კიდევ მეტი, თვით სიცოცხლესაც გამოგვესალმებით.

შედეგი ამ მხრივ ყოველგვარ აჯანყებას, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული, ერთი და იგივე მოყვება. იგი მხოლოდ მტერს გაახარებს და ქვეყანას დაღუპავს.

ამიტომაც ლეჩხუმის წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნიის კომისარმა სასტიკი ზომები გამოაცხადა, მართალია ამ ზომებს შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს. მაგრამ პოლიტიკური ჯგუფებისთვის აშკარა უნდა იყოს, რომ ეს ზომები მიმართულია არა ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ, როგორც ამას ზოგიერთი გაზეთები ჩმახავენ, არამედ იმ ბოროტმოქმედ პირების წინააღმდეგ, რომელთაც მოჰკლეს ამხ. ლევანი, რომელნიც თვით ლეჩხუმის ხალხს თავზარსა სცემენ. ასეთი ხულიგანური გამოსვლები უკვე იყო გორში, თელავში და სხვა ადგილებში, მაგრამ ყველგან მოუღო ბოლო მათ რევოლიუციონურმა დემოკრატიამ.

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ლეჩხუმის შეგნებული ნაწილიც ყოველგვარ დახმარებას გაუწევს რევოლიუციონურ მთავრობას ამ კუთხეშიც წესიერების აღდგენაში. უდიდესი განსაცდელის წინაშე ვდგავართ! წესიერება ერთი მთავარი საფუძველია ამ განსაცდელისაგან თავის დაღწევის. კარზე ოსმალეთის ჯარი გვადგია. სიმაგრე და სიმტკიცე დემოკრატიის ასეთ პირობებში აუცილებლათ საჭიროა. ყოველი რყევა მხოლოდ დაღუპავს თავისუფლებას. ყოველი წინააღმდეგობის გაწევა მთავრობის განკარგულებისადმი, განსაკუთრებით, როცა ამას სჩადიან ფრაქციული თუ პარტიული ქინიანობით გატაცებული ჯგუფები, მხოლოდ არღვევს დემოკ. მთლიანობას და ხელს უწყობს ანარქიის გაძლიერებას. შეგნებული დემოკრატია ვალდებულია ასეთი ცდა სათავეშივე შეაჩეროს და ასეთ პოლიტიკანებს თავის შეცთომებზე მიუთითოს. რევოლიუციური წესიერება უნდა აღდგენილ იქნეს ყოვლის მიზეზის გარეშე! ვინც ამას ეწინააღმდეგება—ის დემოკრატიას ღალატობს!

ჩვენ, ვიმეორებთ, არ გვსურს წესიერებისთვის სისხლის ღვრა გამოვიწვიოთ. ახალციხის და აწყურის ამბებშიაც დემოკრატია შეეცადა, თავის მხრივ წესიერება უსისხლოთ აღედგინა. სადაც ეს ვერ მოხერხდა, იქ ეს აჯანყებულთა თავგასულობის ბრალია და არა რევოლიუციური დემოკრატიის შეიარაღებულ ძალების. დემოკრატია მხოლოდ პასუხს აძლევდა ტყვიით მათ, ვინც თოფს მიმართა და ძალმომრეობას დაადგა რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ.

თუ ოსმალეთის აგენტებს ამრიგათ ვცდილობთ ხალხი უსისხლოთ გამოვაცალოთ ხელიდან, მით უმეტეს ასეთ ცდას ადგილი ექნება ლეჩხუმში, სადაც ხალხი ტერორის შიშით ემორჩილება ზოგიერთ თავზე ხელაღებულთა გავლენას და განკარგულებებს.

და იმ ესერ-ბალშევიკ-ფედერალისტების არა ბუნებრივ ბლოკს, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის გამართვის მაგიერ, რომ თავის მორალური ძალა, რამდენათაც კი ასეთი მათ გააჩნიათ, ლეჩხუმის ამრევ-დამრევი ჯგუფის ასალაგმათ მოეხმარათ, ამით ნამდვილ სამსახურს გაუწევდენ, ხალხსაც და მთავრობასაც.

მაგრამ თუ მათ მაინც იოლი ოპოზიციონერობა არჩიეს, ეს ნიშნავს, რომ მათ დემოკრატიის არევ-დარევა ურჩევნიათ—წესიერების ჩამოგდებას. დემოკრატიის შეგნებული ნაწილის ვალია ამათ გზას არ აყვეს და წესიერების აღსადგენათ ორკეცი ენერგიით იბრძოლოს.

ვიმეორებთ: წესიერება უნდა აღდგენილ იქნეს ყოველი მიზეზის გარეშე. ვინც ამას ეწინააღმდეგება—ის დემოკრატიის მტერია!

## თავდაცვა პროვინციაში

გარეშე საფრთხემ ჩვენი მხარე გამოაფხიზლა და საომარ ფეხზე დააყენა.

პირველი ადგილი ამ შემთხვევაშიც გურიამ დაიჭირა. სწორია ის შეხედულება, რომ უფრო განვითარებული კუთხე ყველაზე ადრე გრძნობს საფრთხეს და ყველაზე ენერგიულათ ემზადება იმის თავიდან ასაცილებლათ. ეჭვი არაა, აქ ფრონტის სიახლოვესაც აქვს გავლენა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ გურიის გლეხკაცობა, როგორც ერთი კაცი ფეხზე დგას.

თუ გუშინ იგი შინაურ რეფორმების გატარებაში პირველობდა, დღეს ომის ასპარეზზეც პირველი გამოდის. ომში აგზავნის ყველა თავის შეიარაღებულ ძალებს.

მაგრამ ადგილობრივ დარჩენილებიც არ იკრეფენ გულზე ხელს. მიღებულ ცნობებით მათ შეუდგენიათ თავდაცვის რევოლიუციური კომიტეტი, რომელსაც მთელი რიგი წესები შეუმუშავებია მობილიზაციის რიგიანათ გასატარებლათ და შინ წესრიგის დასაცველათ. ეს წესები ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერშია მოთავსებული. შეიძლება ბევრს მათი მიღებული წესები სასტიკი ეჩვენოს. იგინი კრძალავენ თავდაცვის წინააღმდეგ ქადაგებას, რევოლიუციურ კომიტეტის განკარგულებების გმობას და სხვ. ერთი სიტყვით იგინი თხოულობენ სრულ სამხედრო დისციპლინის შემოღებას შინ და გარეთ. ფრონტი და ზურგი ორივე სამხედრო ბანაკათ იქცევა.

იტყვიან ასე იქცეოდა თვითმპყრობელობაცო, ისიც გვიკრძალავდა თავისუფალ აზრის გამოთქმასო. მარა ამის მოქმედი ღრმათ შემცდარი იქნება.

თვითმპყრობელობა გვიკრძალავდა ხმის ამოღებას ერთი მუჭა მდიდრების და მემამულეების ინტერესების გულისათვის. დემოკრატია გვიკრძალავს ამას თვით დემოკრატიის საჭიროებისათვის.

იქ ერთი მცირე ჯგუფი ბატონობდა მთელ ხალხზე. აქ მთელი ხალხი მოითხოვს მორჩილებას თავის მცირე ნაწილისაგან, ზოგიერთი ჯგუფებისა თუ პირებისაგან.

ვინ უფრო მაღლა დგას? ჯგუფი თუ მთელი ხალხი? რასაკვირველია ხალხი. იგი კანონმდებელია. მისი ბედნიერება და კეთილდღეობა უმაღლესი კანონია. როცა საფრთხე მოელის ამ კეთილდღეობას და ამის ასაცილებლათ საჭიროა რამდენიმეთ კერძო თავისუფლების შეზღუდვა—ეს უნდა მიღებულ იქნეს, როგორც სამხედრო აუცილებლობა.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ შეგნებული გამომხატველნი ხალხის ინტერესებისა არც ერთ სასტიკ ზომას არ მიიღებენ ისეთს, რომელსაც ხალხის დიდი უმრავლესობა უარყოფითი შეხვდება.

გადაჭარბება და გადამეტება რეპრესიების დემოკრატიას არ არგებს. ეს გურიის ხელმძღვანელთ კარგათ ესმით.

მაგრამ მათ კარგათ ესმით ისიც, რომ ხალხს სრული უფლება აქვს თავის წევრებს წესიერებისაკენ მოუწოდოს და ურჩნი ძალით დაუმორჩილოს საერთო კეთილდღეობის მოთხოვნილებას.

გურია ყოველთვის მაგალითის მაჩვენებელი იყო დანარჩენ კუთხეებისათვის და ჩვენ იმედი გვაქვს ახლაც სხვა მხარეები მის მაგალითს გაჰყვებიან და ყველგან ასეთ რევოლიუციურ წესრიგს შემოიღებენ.

## პრესა

„საქართველო" უკან იხევს. ჩვენ აღვნიშნეთ მისი მოწოდება ანარქიისაკენ. ის კი მკითხველის თვალის ასახვევათ სწერს: „გაზეთი „ერთობა" თავისებურად გვეკამათება ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრების შესახებ, რომ, როდესაც მმართველი წრეები ვერ ახერხებენ ხალხური განვითარების მეთაურობას და ხელმძღვანელობას, ცხოვრება ამით სამუდამოთ არ შეჩერდება, არამედ მხოლოდ მთავრობა შეიქნება ჰაერში ჩამოკიდებული. ცხოვრების მიმდინარეობა სტიქიურად გაიკვლევს გზას" და სხვ.

გამოდის, რომ „საქართველო"-ს ჩვენ ვეკამათებით მოსაზრების გამოთქმის გამო. ერთი ანდაზის არ იყოს, „საქართველო" ჩვენ გვასწავლის—თუ მთავრობამ ხალხი არ დააკმაყოფილა, ცხოვრება თითონ გაიკვლევს გზასო. ეს ჩვენ „საქართველო"-ზე ადრე ვიცოდით და ხალხს მთავრობის წინააღმდეგ მოვუწოდებდით, რადგან ძველი მთავრობა არაფერს იძლეოდა.

„საქართველო"-ს ჩვენ იმიტომ კი არ ვუწოდეთ პროვოკატორის სახელი, რომ მან მოსაზრება გამოთქვა, არამედ იმიტომ, რომ ხალხს მოუწოდა ნუ დაემორჩილებით სეიმს, ვის როგორც გენებოს ის მოაწყვეთ თქვენი საქმეო. ამოვწეროთ ხელახლა „საქართველო"-ს ეს მოწოდება, რომელიც მიწის რეფორმას ეხება: აი ეს მოწოდებაც:

„ჭეშმარიტათ უმჯობესია ამ საქმეს კანონმდებლობისა და სახელმწიფოებრივი რეფორმის ეტიკეტი მოვაშოროთ და დროზე მივანდოთ სტიქიას".

ეს არის მოსაზრების გამოთქმა? ეს ხომ მოწოდებაა იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც სეიმმა მიიღო. ვიმეორებთ, როცა ასეთს მოწოდებას ბალშევიკები და ანარქისტები ბეჭდავენ, ეს ჩვენ არ გვიკვირს, მაგრამ როცა ამას ბეჭდავს „საქართველო", რომელიც მიწების უსა-

სყიდლოთ მიცემის წინააღმდეგია, ცხადია მას არევ-დარევის გამომწვევის სურვილი აქვს და სხვა არაფერი.

რაც უნდა იყოს, თუ „საქართველო" ნიკოლოზის ძველ კანონებს აღმერთებს, რა ნება აქვს მას სეიმის მიერ გამოცემულ კანონის წინააღმდეგ გაილაშქროს.

ჭეშმარიტათ ძლიერია გრძნობა უპასუხისმგებლობისა, რომელსაც მთავრობა უნდა ებრძოლოს.

* * *

ასეთივე უპასუხისმგებლობის გრძნობით არიან შეპყრობილნი ყველა ჩვენი მოწინააღმდეგენი—უბრალო მძარცველებიდან ბალშევიკ-ფედერალისტ-ნაციონალ-დემოკრატებამდე. ამათთვის არ არსებობს ავტორიტეტი არც კომისრების და რევოლიუციონურ ორგანიზაციების და არც სეიმის.

„საქართველო"-მ აშკარათ ურჩია ხალხს მიწის „საქმეს სახელმწიფოებრივი რეფორმის ეტიკეტი მოვაშოროთ", ესე იგი, სეიმის მიერ გამოცემული კანონი დავარღვიოთო და იმავე დროს დიდი დავი-დარაბა ასტეხა: კაჩუხაშვილმა ლეჩხუმის მაზრა „კანონს გარეშე" გამოაცხადაო. განვიხილოთ კაჩუხოვის მიერ გამოცემული ბრძანება და დავრწმუნდებით, რომ იქ ყოველი ზომა ხალხის კეთილდღეობისკენ არის მიმართული. ამოვშალოთ სიტყვები „კანონს გარეშე" და ყველაფერი ადგილზე დარჩება. რა საჭირო იყო ამ ორი სიტყვის წინააღმდეგ ასეთი განგაშის ატეხა? ჩვენ ვიცით რა საჭირო იყო. კაჩუხაშვილის ბრძანება შორდება ძველი კანონების ჩარჩოებს. ის განზე სტოვებს იმ თექვსმეტ ტომს, რომელსაც ჩვენი მტრები ებღაუჭებიან. ამიტომ ასეთის აღტაცებით ამოუწერია „საქართველოს" რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული წერილი ქუთათურ „ხალხის მეგობრიდან". „საქართველო" ებღაუჭება იმ ინტერპარტიულ კომისიას, რომელიც ქუთათურ „უჯარო გენერლებისაგან" შესდგება, რა მშვენიერი სურათია. სოციალისტ-რევოლიუციონერები, სოციალისტ-ფედერალისტები, ბალშევიკები და მათი მფარველი „საქართველო" ქუთაისის რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლის კაჩუხოვის წინააღმდეგ. კაჩუხოვს ამ შემთხვევაში ჩვენი დაცვა არ სჭირია, რადგან ის ეყრდნობა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს. აი ის ღირსეული პასუხი, რომელიც კაჩუხოვს მიუცია ამ კრილოვის გმირებისათვის:

„დასასრულ, მიმაჩნია საჭიროდ, შევატყობინო კომისიას, რომ ჩემდამი რწმუნებულ გუბერნიაში მთელი ძალაუფლება უმაღლეს რევოლიუციონურ მთავრობისაგან მინიჭებული მაქვს მე. რევოლიუციონურ ორგანიზაციებს კი, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საოლქო ცენტრს და ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მხოლოდ ამ ორს, ეკუთვნის ჩემი მოქმედების კანტროლის უფლებაო".

„საქართველო" და სოციალისტ-რევოლიუციონერები, ფედერალისტები და ბალშევიკები!—ოთხნი არიან ტოლნი არიან...

# ეშმაკის მათრახი



ამხ. ლევან დადიშქელიანი

## კავკასიის ფრონტი

კავკასიის ჯარების მთავარ-სარდალმა გამოსცა შემდეგი ბრძანება ჯარებისადმი:

მთელ რუსეთს და ამიერ-კავკასიას შავი ღრუბლები დააწვა; ის საპატიო ზავი, რომელსაც სახალხო კომისარების საბჭო გვპირდებოდა, ნამდვილად ყოვლად შეუწყნარებელ ძალადობათ გადაიქცა, შელახეს ჩვენი სინდისი, პატიოსნება და თავისუფლება, ფეხქვეშ გათელეს ყოველივე ის, რაც ჩვენთვის ძვირფასი იყო. ბრესტ-ლიტოვსკში ბალშევიკების მიერ შეკრულ ზავით ოსმალეთს გარდასცეს ბათუმი, არდაგანი და ყარსი და ამით მთელ ამიერ-კავკასიას დიდი საფრთხე მოუმზადეს, მის ფიზიკურ არსებობას ხელი შეახეს. ამიერ-კავკასიის მხედრებო! თქვენი სამშობლო განსაცდელშია, მთელ ხალხს თქვენსკენ აქვს მოპყრობილი იმედით სავსე თვალები, თქვენგან ელის ხსნას, ხალხს იმედი აქვს თქვენ თავს გასწირავთ სამშობლოსთვის, თქვენ შესძლებთ გადაარჩინოთ თქვენი სამშობლო და ხალხი სხვა სახელმწიფოს იმპერიალისტების მონობას.

ჩვენი სამშვიდობო დელეგაცია ეხლა ტრაპიზონშია და ის ეცდება არავითარი ძალა არ დაიშუროს ღირსეული ზავის ჩამოსაგდებათ, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ყოველ შემთხვევისთვის ჩვენც მზათ ვიყვეთ. არ დაივიწყოთ ბრძნული თქმულება: „გინდა ზავი, ემზადე ომისთვის"-ო,—ჩვენც უნდა ვემზადოთ. ამისთვის ვუბრძანებ: 1) ყველა ჯარის ნაწილებში შემოღებულ იქნას სასტიკი დისციპლინა, ვინც ამ დისციპლინას დაარღვევს, სულ ერთია—ვინც უნდა იყოს, სამხედრო სამართალში უნდა მისცენ. უფროსების ყოველი ბრძანება და განკარგულება უსიტყვოთ შესრულებულ უნდა იქნეს; 2) დაუყოვნებლივ შეუდგენ სამხედრო მეცადინეობას და შეასწავლონ ჯარისკაცებს ყველა ის, რაც საჭიროა ომის დროს; 3) უფროსებს და აფიცრებს ვუბრძანებ აუხსნან ჯარისკაცებს არსებული კრიტიკული მდგომარეობა და თავის მოქმედებით მაგალითით უჩვენოს მათ, რომ აღადგინონ დაცემული პრესტიჟი, მათი ნდობა დაიმსახურონ, რომ გაჭირების დროს ჯარისკაცები უხმოთ მიჰყვებოდენ აფიცრებს ბრძოლის დროს; 4) ფრონტზე მდგომ ჯარის ნაწილებს ვუბრძანებ სინდისიერათ აასრულონ თავიანთი სამსახური, რადგან მცირედ დაუდევრობას ძლიერ ცუდი შედეგი მოჰყვება, რის მაგალითიც არზრუმი არის; 5) იმ დაწესებულებებს, რომლებმაც ჯარს უნდა მიაწოდოს საჭირო სანოვაგე და სხვა, ვუბრძანებ სასტიკათ აასრულონ თავის მოვალეობა, რომ ჯარებს დროზე მიაწოდონ საჭირო მასალა; 6) რადგან, როგორც სურსათის, ფულის და სხვა მხრით ამიერ-კავკასია კრიზისს განიცდის, ვუბრძანებ მოახდინონ ლიკვიდაცია დაშლილ ჯარების ყველა შტაბების, დაწესებულებების და სხვა და 15 მარტიდან შეუწყვიტონ სურსათის და სხვა მიწოდება და 7) ყველა ჩემ ხელქვეით აფიცრებს ვუბრძანებ სასტიკი თვალყური ადევნონ ამ ბრძანების ასრულებას.

---

შავი ზღვის პირად ჩვენ საზღვრებს იქით ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს ოსმალთა ჯარების ნაწილები.

ერზერუმის მიმართულებით ზივინის უღელტეხილზე ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს ქურთების რაზმი. რაზმი გარეკეს.

## საზაო მოლაპარაკება

ტრაპიზონიდან 9 მარტს აკაკი ჩხენკელისაგან ამიერ-კავკასიის მთავრობას შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

„ოსმალეთის დელეგატები მოითხოვენ ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ხელშეკრულობის განხორციელებას. მათ ეს ხელშეკრულობა მიაჩნიათ ამ.-კავკასიისთვის სავალდებულოთ. დღეს ჩვენი დელეგაცია წარუდგენს სეიმის მიერ შემუშავებულ საზავო პრინციპებს. დაუყონებლივ გამოგზავნეთ გემი. საქმის ვითარება დაწვრილებით მოახსენეთ სეიმს".

## ლევან დადიშკელიანი

ლევან დადიშქელიანი მოგვიკლეს!

დაახლოებით 1906 წლის რეაქციის შემდეგ ჩვენი ნერვები ეჩვევა ამ საბედისწერო სიტყვას: „მოჰკლეს". თითქმის თორმეტი წელი გადის და ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ და ორჯერ გვსმენია მწარე სიტყვები:

— ამხანაგი ნიკო მოჰკლეს!

— ჩვენი საყვარელი პეტრე დახვრიტეს.

— ძვირფას მეგობარს შამშეს გული გაუგმირეს...

და სხვა ათასი ამგვარი, ერთი მეორეზე უფრო სამწუხარო და სავალალო. მას შემდეგ, რაც ეს საერთაშორისო ომი დაიწყო ადამიანის სიცოცხლემ ხომ სრულიად დაჰკარგა ყოველივე ფასი და როცა გაზეთებში ვკითხულობდით: „მოჰკლეს ათასი, მოჰკლეს ორი ათასი, მოჰკლეს ათი ათასიო", ეს ჩვენს ნერვებზე თითქმის აღარავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

მაგრამ, როცა სასახლის ერთ ერთ ოთახში სილიბისტრო ჯიბლაძის გაფითრებულ სახეს მოვკარი თვალი და მისი აღელვებული ხმა ვიგრძენი, გულში, რაღაც ღრმა მწუხარების ზარმა ჩამოჰკრა. ის სახე ახლაც თვალწინ მიდგას და ვგონებ არასოდეს არც დამავიწყდება. ვგრძნობდი რაღაც უდიდეს სამწუხარო ამბის მოლოდინს, ინსტიქტიურად ვკრთოდი და ვშიშობდი კითხვის მიცემას.

— რა ამბავია, რა მოხდა კაცო?

— ლევან დადიშქელიანი მოგვიკლეს, ლევანი!

მე ეხლა არ შემიძლია იმ შთაბეჭდილების აღდგენა და გადმოცემა, რომელმაც მაშინ მოიცო მთელი ჩემი არსება. მახსოვს მხოლოდ ის, რომ უძლური ბრაზისა და გაბოროტებისაგან მთელი სხეული მიკანკალებდა. იქვე აღმასრულებელ ბიუროს ოთახში შევედი და კარგა ხანს მწარე ფიქრებსა და მოგონებებში ვიყავ დამარხული.

„ძაღლა ადამიანი"?

— „თუ გამხეცდა, ადამიანი ყველა მხეცზე უფრო მხეციაო"—უთქვამს ვილაცას და არა თუ ვილაცას, ამას ამბობს თითქმის ყველა, როცა ამისი საბუთი მიეცემა.

მეც სწორეთ ასე ვფიქრობდი:—განა შეიძლება ისეთი ადამიანის წარმოდგენა, რომელმაც თვალი გაუსწოროს და საბედისწერო ტყვია ესროლოს ლევანს? არა, იმას მხეციც დაზოგავს, არა თუ ადამიანი; თუ ბოროტმა სულმა ჩასძახა, ძალღონე უმტყუნებს, თუ სინდისმა არ შეაწუხა მკლავი და მუხლები ულალატებენ.

მე თან და თან ვზრდიდი ჩემი იმედის ხავსს და მაგრა ვეჭიდებოდი მას—არა, ეს ალბათ სიცრუეა. მართლაც რომელი გარეწარი იკისრებდა ლევანზე მახვილის აღებას. ვინ იქნება იმზომ გამხეცებული, ისე გონება დაკარგული, რომ საფლავში ლევანის მკვლელის სახელი ჩაიტანოს. ვინ იქნება ისეთი მახინჯი, ისე გადაგვარებული, რომ თავის შთამომავლობას მემკვიდრეობათ ლევანის მკვლელობის მოგონება დაუტოვოს?

— აი ეს ლევანის მკვლელის შვილია.

— შეხედეთ, ის ლევანის მკვლელის ძმაა.

არა, არა, ასეთი ქართველი არ გამოჩნდება და მე დაჟინებით ვარწმუნებდი თავს ამ საზარელი ამბის შეუძლებლობაში.

სეიმის სხდომაზე.

სასახლის თეთრი დარბაზი ხალხით ივსება. სეიმის დეპუტატები ჩვეულებრივ ზანტათ იკრიბებიან. ძლიერ მძიმე მომენტია საერთოდ ჩვენი ქვეყნისათვის, რომ მხიარულების ღიმილი სახეს ამშვენებდეს მოქალაქისას, მაგრამ ჩემს მეგობრებს აშკარათ ემჩნეოდა ბეჭედი გულითადი მწუხარებისა.

— ლევანის ამბავი გაიგე?

— შეიტყვე კაცო, ეს საზარელი ამბავი? ეკითხებიან ერთი მეორეს და უხმოთ შორდებიან.

სეიმის თავმჯდომარის სავარძელში კარლო ჩხეიძე გამოჩნდა. მას არ ემჩნევა ის ფარული ღიმილი, რომელიც აჩრდილივით მუდამ თანა სდევს მის სახეს. დეპუტატები თავ-თავის ადგილებს იჭერენ. დარბაზში წესრიგი და სიჩუმე მყარდება. ამბობენ, ევგენი გეგეჭკორს დეპეშა მოსვლია ამ აღმაშფოთებელ მკვლელობის შესახებო. მე მოუთმენლათ და გამოურკვეველი შიშით მოველი მის გამოჩენას. თვალწინ სილიბისტროს სახე მიდგას და მეშინია აქაც, ევგენის მხიარულ სახეზე იგივ მწუხარების ნიშნები არ დავინახო. აი ევგენიც! მე კვლავ ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. დინჯათ, მძიმე ნაბიჯით გაიარა მან დარბაზი და თავის ალაგას დაჯდა. არც ერთი გახედვა, არც ერთი ხაზი ღიმილისა იმის სახეზე.

— მოუკლავთ ბარბაროსებს! გადავსწყვიტე მე და გულს კვლავ გადაევლო მწარე გრძნობათა საწამლავი.

ლევანი წევრი სეიმისა.

ალექსანდრე ლომთათიძე, როგორც თავმჯდომარე სამანდატო კომისიისა სეიმის ტრიბუნაზე ადის. ის აცხადებს სიას იმ დეპუტატებისას, რომელთა არჩევნები უეჭვოთ სცნო და დაამტკიცა სამანდატო კომისიამ.

— ფრაქცია სოც. დემოკრატ „მენშევიკებისა": ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი... სხაპა სხუპით გაისმის ერთი მეორეზე მიყოლებით ძვირფასი სახელები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა და აი მათ შორის გაისმა „ლევან დადიშქელიანი"-ც.

დიახ, ლევან დადიშქელიანი პირველი სახალხო წარმომადგენლობის წევრია. ქართველმა ხალხმა იცოდა, ჩინებულათ იცოდა ვის ირჩევდა, როცა ის ასეთი დიდი ნდობით აღჭურვა. ქართველმა მშრომელმა ხალხმა იცოდა, რომ ის ბუმბერაზი, რომელსაც ლევან დადიშქელიანი ეწოდება არასოდეს არ უღალატებს მას და არ გაჰყიდის ჩაგრულთა ინტერესებს.

მაგრამ გონება დაბნელებულმა წევრმა იმავე მშრომელი ხალხისამ ცხელი ტყვია გაუვლო ამ ჩაგრულთა მოსიყვარულე გულს და გააცივა ის. მე არ მინდა დავიჯერო, რომ მან იცოდა ვის ჰკლავდა. არა, მან არ იცოდა.

თავმჯდომარე სეიმისა კარლო ჩხეიძე მოულოდნელათ ზეზე წამოდგა. მჭექარე, მაგრამ მწუხარე ხმით დაიწყო:

— მოქალაქენო, წევრნო ამიერ-კავკასიის სეიმისა! ქუთაისიდან ჩვენ მივიღეთ ფრიად სამწუხარო ცნობა. იქ,—ანარქიასთან ბრძოლის დროს, მტრის ტყვიით განგმირულ იქმნა და ბრძოლის ველზე დაეცა წევრი სეიმისა ლევან დადიშქელიანი...

მწუხარეთ გაისმა საყვარელი სახელი მდუმარე დარბაზში და ნაცნობ-მეგობართა გული შეაშფოთა.

— მოგიწოდებთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ ვერაგულათ მოკლულ დეპუტატის ხსოვნას.—დაასრულა თავისი მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვა კარლო ჩხეიძემ და მდუმარე დარბაზი ფეხზე ადგა.

— მოუკლავთ, ჩემი ლევანი მოუკლავთ, ვფიქრობდი მე და ათასგვარი სახე შურისძიებისა უწესრიგოთ ირეოდა ჩემს გონებაში.

მწარე მოგონებანი.

„ეშმაკის მათრახის" მკითხველთაგან ალბათ ბევრმა არც კი იცის, რომ ლევან დადიშქელიანი ჩვენი ჟურნალის

## ბორჯომის მამული

**კანონი ყოფილ დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილისძის ბორჯომის მამულის კონფისკაციის შესახებ.**

1. ყოფილი დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილისძის ბორჯომის მამული, რომელიც მდებარეობს თფილისის გუბ., გორის მაზრაში, უნდა იქნას ჩამორთმეული უფასოთ მთელი შემადგენლობით ყველა შიგ არსებულ მინერალურ წყლებით, ტყეებით, მიწის გულში არსებულ სიმდიდრით, წყლებით, ქარხნებით, სასახლეებით და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარითა და სურსათით.

2. მიენდოს მიწათმოქმედების სამინისტროს კომისარს მოაწყოს აღნიშნულ მამულის ჩაბარება და დროებითი მმართველობა.

ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარე **ნ. ს. ჩხეიძე.**

## ახალი ამბები

**ახალი საუბნო კომისრების დანიშვნა.** თფილისში დაინიშნა საუბნო კომისიები, რომლებიც ვალდებულნი არიან წესრიგი დაიცონ ქალაქში და თვითმართველობის მიერ დაწესებული ნიხრის ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუწყონ. 1-ლ უბანში დაინიშნა მალჩანოვი, მე-2—შჩერბაკოვი; მე-3—ბერეტაშვილი, მე-4—ა. ნ. შილაკაძე; მე-5—სადაგაშვილი; მე-6—ზ. ცეცხლაძე; მე-7—ს. ბზიავა; მე-8—თალაკვაძე; მე 9—აკოპიანცი; მე-10—ზავაროვი; მე-11—თევდორაშვილი; მე-12—ბაგრამოვი. თუ რომელიმე ვაჭარი ნიხრს დაარღვევს, მყიდველი ვალდებულია ამის შესახებ მიმართოს თავიანთ საუბნო კომისარს.

**შაქრის ყალბი ბარათები.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა ნაძალადევში აღმოაჩინა შაქრის ყალბი ბარათები. როგორც გამოირკვა ელიოზოვი, რომელსაც აღმოუჩნდა ლიტოგრაფიული ქვა, ბეჭდავდა ყალბ ბარათებს. დიდი ხანია ეწეოდა სპეკულიაციას და გირვანქა შაქარს ყიდდა 6—7 მანეთად. სპეკულიანტი გაგზავნილ იქნა მეტეხის ციხეში. ასეთივე ყალბი ბარათები აღმოუჩინეს მადათოვის კუნძულზე მდებარე ლიტოგრაფიის პატრონს ათაბეგოვს. ათაბეგოვი დაატუსაღეს.

**მილიციონერებისათვის სკოლა** დაარსდა თფილისში. ასწავლიან გიმნასტიკას, დისციპლინას, აუხსნიან საჭირო ცნობებს კანონმდებლობიდან. სკოლის ხელმძღვანელია პორუჩიკი მოგილევსკი.

**კომისარიატის დელეგაცია** გაემგზავრა შუშის, ჯევანშირის, კარიაგინის და ზანგეზურის მაზრებში მდგომარეობის გამოსარკვევათ და საჩქარო ზომების მისაღებად.

**ბაქოს მაზრის კომისარათ** დაინიშნა ალი-გაიდარ უსუფოვი.

**ახალციხეში საალყო წესები** გამოცხადდა. ჩვენი ჯარის და თათრების შორის ბრძოლაა გაჩაღებული. მაზრაში მდგომარეობა მეტად სახიფათოა. იტყობინებიან, ბორჯომს და აწყურის მიდამოებშიაც ბრძოლა დაიწყოვო.

**ამიერ-კავკასიის კოოპერატივების კავშირს** განზრახვა აქვთ დაარსოს კურსები ინსტრუქტორ-პროპაგანდისტ ქალებისა. ამ მიზნით მოხდება კრება 12 მარტს, გიორგევის ქუჩ. კოოპერატიულ სასადილოში.

**ბაქოს სახაზინო პალატის** მოსამსახურენი თხოულობენ, რომ ადგილების განაწილებას და მოსამსახურეთა დანიშვნას თვით მოსამსახურენი უნდა განაგებდენ. მცირე საბჭომ განიხილა რა ეს მოთხოვნილება, დაადგინა: მთავრობის წარმომადგენელმა მხედველობაში უნდა იქონიოს მოსამსახურეთა აზრი ადგილების განაწილების შესახებ, მხოლოდ მას სავალდებულო მნიშვნელობა არ ექნება.

**თავდაცვის შტაბის** განკარგულებით შეიპყრეს პოდპორუჩიკი ლარიონოვი და ნიკოლოზ კაკოევი, რომელნიც საეჭვო პირებათ არიან შემჩნეულნი.

**ლექცია.** დღეს, 11 მარტს დღის 12 საათზე არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში სეიმის წევრი მ. სმირნოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ეკონომიური კანვითარების კანონი და კავკასიის დამოუკიდებლობა".

**განჯაში სამხედრო** სარევოლიუციო სასამართლო დაარსდა მუსულმანთა მცხოვრებთა და ნაციონალურ კომიტეტთა მიერ. სასამართლოში სამი სამხედრო და ორი არა სამხედრო პირნი შედიან. სასამართლო განიხილავს და გამოარკვევს ყოველივე ბოროტ-მოქმედებას განჯაში მომხდარს.

**პურის ფასი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა გირვანქა პურის ფასათ 50 კაპ. დააწესოს.

**კავკავში, როგორც იტყობინებიან** შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა. ისმის ქალაქში მხოლოდ საღამოობით სროლა. კავკავიდან მინერალურ წყლებამდე მატარებლების მიმოსვლა განახლდა. საქართველოს სამხედრო გზით თავისუფალი მოგზაურობა უზრუნველყოფილია.

**წარმოდგენა,** რომელიც უნდა გამართულიყო დღეს, 11 მარტს ქალთა პროფ. სკოლის სასარგებლოდ, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში, გადაიდო სხვა და სხვა მიზეზების გამო 20 მარტისთვის. აღებული ბილეთები გამოდგება.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს დილის 10 საათზე ქალ. თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ქალაქის საბჭოს სოც.-დ. ფრაქციის კრება. განსახილველია საყურადღებო კითხვები და სთხოვენ ყველა ამხანაგებს დაესწრონ.

— დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლლექტივის ბიუროში შესდგება ამავე რაიონში მცხოვრებ ამხ. ქალთა კრება,—ქალთა ორგანიზაციების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. მინადორა ტოროშელიძე. კრებაზე დასწრება პარტიის არა წევრთაც შეუძლიათ.

— დღეს, 11 მარტს დღ. 5 საათზე სახალხო უნივერსტეტის ბინაზე გაიმართება ამავე უნივერსიტეტის ყველა მსმენელთა კრება. დღის წესრიგია: სასადილოს გამხსნელ კომისიის წევრთა მოხსენება, იშკოვის მოხსენება მომავალ მეცადინეობის გეგმის შესახებ, მიმდინარე საკითხები.

— დღეს, 11 მარტს დილის 10 საათზე მომხმარებელ საზოგადოების „ალორძინებ"-ის კანტორაში (ვერის დაღმართზე) დანიშნულია თბილისის კოოპერატივებში მოსამსახურეთა წარმომადგენლების კრება. განსახილველია საკითხი—კოოპერატიული სექციის დაარსება თბილისის სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირთან. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, დილის 12 საათზე ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში ანასტასიას ქუჩა, № 22, დანიშნულია თფილისის ქართველ სტუდენტთა სალიტერატურო—სამეცნიერო წრის გამგეობის კრება. რადგან ძლიერ საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, ვსთხოვთ გამგეობის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— დღეს, 11 მარტს, დილის 10 საათზე „მირის" ფაბრიკის შენობაში შესდგება ავლაბრის რაიონის გვარდიელების საერთო კრება. სთხოვენ ყველა ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— დღეს საღამოს 5 საათზე მეოთხე რაიონის კლუბში, უდელნი ქუჩა № 3, ქალაქის თვითმართველობის წევრი ამხ. დ. პოპოვი წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე: „სასურსათო საკითხი და პოლიტიკური მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში". ლექცია უფასოა; დასწრება შეუძლია არა პარტიის წევრებსაც.

— დღეს, 11 მარტს, დილის 9 საათ. პუშკინის სახელობის სკოლის შენობაში დანიშნულია შეერთებული საერთო პარტიული კრება ორთაჭალის რაიონის წითელ გვარდიელთა და ყველა პარტიულ წევრებისა (მე-4 და მე-5 სამ. უბნებისა) დღის წეს-რიგი: 1) ევგენი გეგეჭკორის მოხსენება მიმდინარე მომენტზე, 2) კოლექტივის მუშაობის ანგარიში, 3) პარტიული მუშაობის გადიდება, 4) არჩევნები სარევიზიო კომისიის და კოლექტივის წევრებისა.

— ხვალ, 12 მარტს საღამოს 5 საათზე მეექვსე ვაჟთა გიმნაზიაში (უდელის ქუჩა, № 3) დანიშნულია მეოთხე რაიონის სოციალ-დემოკ. პარტ. ქალთა კრება. შეუძლიანთ დაესწრონ არა-წევრებიც. ვთხოვ ამხანაგ ქალებს არ დაიგვიანონ.

— დღეს, დილის ათ საათზე, ძველ სემინარიის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, დანიშნულია თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა საერთო კრება. გასარჩევია ფრიად საყურადღებო კითხვები.

— კუკიის წმ. ნინოს უბნის ბიურო სთხოვს ამ უბნის მცხოვრებ მოქალაქეთ მობრძანდენ საერთო კრებაზე დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე წმ. ნინოს ეკლესიის სკოლის შენობაში. ასარჩევია ბუროს წევრები.

## მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპ. საბ. ცენტრში

(9 მარტის სხდომა).

9 მარტს მოხდა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

კავკასიის ჯარის საბჭოს გაუქმების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რ. მალხაზოვი. ჯარის წასვლის გამო— ამბობს მომხსენებელი— საბჭოს ნიადაგი

გამოეცალა, მას რეალური ძალა არ უმაგრებდა ზურგს. ამიტომ საბჭოს არავინ არ უწევდა ანგარიშს, მის დადგენილებებს არავინ ასრულებდა. გადავსწყვიტეთ მოგვეხდინა საბჭოს რეორგანიზაცია. ამ მიზნით გვინდოდა მოგვეწვია ეროვნულ ჯარების ყრილობა. მაგრამ ეს დღევანდელ პირობებში მეტათ ძნელი საქმეა და თან ეროვნული ნაწილები თანდათან იშლება წითელ გვარდიელების მიერ და ასეთი ჯარის მიერ არჩეული საბჭოც ვერ იქნებოდა საიმედო. ამიტომ გადავწყვიტეთ საბჭოს გაუქმება. ამ ჟამათ არსებობს მხოლოდ პრეზიდიუმი და სალიკვიდაციო კომისია. 15 მარტისთვის საბჭო უკვე აღარ იქნება. მისი ქონება გადაეცემა ცენტრს ან აღმასრულებელ კომიტეტს.

ცენტრმა ეს მოხსენება მიიღო ცნობათ. როგორც ვიცით, კავკასიის ჯარის საბჭოს გაგზავნილი ყავდა ჩრდილოეთ კავკასიაში რამდენიმე კაცისაგან შემდგარი კომისია. საკითხი ამ კომისიის უკან გამოწვევის შესახებ გადაეცა ცენტრის პრეზიდიუმს.

შემდეგ ამხ. გამრეკელი აკეთებს მოხსენებას სარაყამიშის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ—ამბობს იგი—6 მარტს გავემგზავრეთ სარაყამიშში. უნდა წამოგვეღო იქიდან კავკასიის ჯარის საბჭოს ქაღალდი. სარაყამიში ავსებულია დღეს სხვადასხვა დაწესებულებათა საქონლით, რომლის გამოტანა მოუხერხებელია. ჩვენ მივმართეთ კომენდანტს მოეცა ჩვენთვის ვაგონი. მან გვიპასუხა, თფილისიდან მოდის მხოლოდ 4 ვაგონი და ისიც სახელმწიფოს ქონების გადასატანათო. შტაბის უფროსმა გვთხოვა თფილისიდან გაგვეგზავნა ყოველ დღე 30 ვაგონი. ორი კვირის განმავლობაში თუ არ იქნა გატანილი საქონელი, სულ დაიკარგებაო. ქალაქთა და ერობათა კავშირის აუარებელი ქონება არის დატოვებული უპატრონოთ. არის დარჩენილი 3 ათას მანეთის წამლები, 60 ათას მანეთის „შინები“, ავტომობილები და სხ. ამ ქონებას არავინ დარაჯობს. ვისაც შეუძლია იტაცებს საქონელს. წინათ რკინის გზის მოსამსახურეები იცავდენ, ახლა ისინიც წამოვიდენ სარაყამიშიდან. აუარებელი ცხენები დადის უპატრონოთ, დიდძალი დახოცილია. 7—8 გირვანქა პური ღირს 20 მან. სპეკულიანტები ყიდულობენ საქონელს ჩალის ფასათ და გამოაქვთ სარაყამიშიდან. ქართველი და სომეხი ჯარისკაცები იტაცებენ ყველაფერს. მე მომცეს ნება წამომეღო, რასაც კი ვისურვებდი. სხვას რას წამოვიღებდი, მხოლოდ შაქარი და ცოტა „კრუპა“ გამოვართვი.

თავმჯდომარე აცხადებს, ქალაქთა კავშირმა უკვე გაგზავნა სარაყამიშში ვაგონებიო. ცენტრმა დაადგინა მიეცეს წინადადება ჯარისთვის სურსათის მიმწოდებელ კომიტეტს მიიღოს ზომები სარაყამიშში დარჩენილ ქონების გამოსატანათ და აღმოუჩინოს ამ კომიტეტს ყოველგვარი დახმარება.

კავკასიის გზებზე მომუშავეთა მოხსენება მათთვის დახმარების მიცემის შესახებ გადაეცა შრომის კომისარს და მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრს.

გაზეთ „იზვესტიას“ სარედაქციო კოლეგიამ ითხოვა ერთი ადგილი ცენტრში სათათბირო ხმით. ცენტრმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

თავმჯდომარის წინადადებით დღის წეს-რიგ'ი დასმულ იქნა საკითხი თავდაცვის შესახებ.

**ნოე ჟორდანია** აცნობებს დამსწრეთ, რომ აკ. ჩხენკელისაგან მივიღეთ დეპეშა, ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაცია მოითხოვს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დაცვასო. პეტროგრადიდან დონსკოისაგან მივიღეთ დეპეშა—განაგრძობს ნოე—ბოლშევიკები უკმაყოფილო არიან ყარსისა და ბათუმის დათმობით, გავლენიანი სახალხო კომისარები (ალუთქვამენ ამიერ-კავკასიას დახმარებას თავდაცვისთვის ბრძოლაში, ისე რომ არ მოითხოვენ ამიერ-კავკასიიდან ბოლშევიკების მთავრობის აღიარებას. გთხოვენ გამოგზავნოთ თქვენი დელეგაცია. პეტროგრადი არ აპირებს გერმანელებსო.

როგორც ტრაპიზონიდან ჩამოსულები ამბობენ, ოსმალები თურმე ფიქრობენ, რომ ჩვენ არავითარი ძალა არ გაგვაჩნია და მოდიან თავისუფლათ. ძალა კი მათ არა აქვთ, იმედს ამყარებენ მხოლოდ ადგილობრივ ძალებზე... ბათუმში რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა, ქუთაისის გუბ. და ბათუმის ოლქში დაადგინეს არ დანებდენ უბრძოლველათ, ბათუმში ამ ჟამათ ბევრია ჯარი. არტილერიაც წეს-რიგში არის მოყვანილი. მცხოვრებთა სულიერი განწყობილება ისეთია, რომ ისინი მზათ არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ თავდაცვისთვის. მთელი მაზრები, (მაგ. ოზურგეთის მაზ.), ჩამოდიან ბათუმში. თან მოაქვთ საგზალი, მჭადი, ლობიო და სხ. ამას წინათ ოსმალებმა დაიჭირეს რამდენიმე მოსაზღვრე ადგილი. შემდეგ მივიდა ჩვენი რაზმი და განუცხადა ოსმალებს, ჩვენ უბრძოლველად ვერ დავსთმობთ ამ ადგილებსო. ოსმალებმაც დასტოვეს ეს ადგილები და უკან დაიხიეს, აქედან აშკარაა, რომ ისინი დარწმუნებული არიან რომ ჩვენ არ შეგვიძლია ბრძოლა. ამიტომ საჭიროა ძალების მოკრება და შესაძლებელია მაშინ ოსმალეთმა ბრძოლასაც თავი გაანებოს.

**ალ. ლომთათიძე.** მოითხოვს შემოღებულ იქნეს სამხედრო ცენზურა, ყურადღება მიექცეს სამხედრო ტყვეებს. დასავლეთ ამიერ კავკასიაში კარგათ არის საქმე, მაგრამ ჩვენ არაფერი არ ვიცით აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის შესახებ. ხალხი წავა თავდასაცავათ, მხოლოდ საჭიროა ვიზრუნოთ სურსათზე, იარაღზე და სხ.

**აუშტროვი** მოითხოვს მოეწყოს ერთი ცენტრალური ორგანო, რომელიც უნდა განაგებდეს თავდაცვის საქმეს. **მაისურაძე** აღნიშნავს, რომ წითელ გვარდიაში უფრო ხალისით ეწერებიან, ვინემ მუდმივ ჯარში. ამიტომ უნდა შევადგინოთ წითელ გვარდიელთა რაზმებიო.

**მაკაროვსკი** მოითხოვს მოეწყოს კონტრ-დაზვერვა, სამხედრო საქმეს განაგებდეს ერთი ორგანო და ჯარების შედგენა უნდა მოხდეს ტერიტორიალური პრინციპის მიხედვითო.

**იაკჯიანი** (დაშნ). ცენტრმა უნდა შექმნას ერთგვარი საზოგადოებრივი აზრი. ჩვენ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, ვიცავთ თავს თუ არა. არ არის საჭირო ცალკე ორგანოს არჩევა. ჩვენ უკვე გვყავს მთავრობა. მან უნდა მიიღოს ზომები და ჩვენ ვალდებული ვართ აღმოვუჩინოთ მას დახმარება. მთავრობამ უნდა მოახდინოს მობილიზაცია 32 წლამდე. საგარეო ფრონტის გასამაგრებლათ მთავრობა უნდა შეებრძოლოს ანარქიას. **ვ. ჯუღელი** აღნიშნავს, რომ ამ დღეებში განზრახულია წითელ გვარდიელთა ყრილობის მოწვევა, რომელიც შეაკავშირებს 25—30 ათასამდე წითელ გვარდიელსო.

**რ. არსენიძე** მოითხოვს სამხედრო ცენზურის დაჩქარებით შემოღებას; მთავრობას უნდა მიეცეს ძალა-უფლება, რომ მან შესძლოს მობილიზაციის ცხოვრებაში გატარება. საჭიროა ჯარში დისციპლინა იყოს განმტკიცებული, ჯარისკაცები უნდა ემორჩილებოდენ უფროსებსო.

ცენტრმა ერთხმათ დაადგინა (მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი). ცენტრი მოუწოდებს დემოკრატიას ქვეყნის დასაცავათ. ამიტომ იგი ავალებს მთავრობას: გაიწვიოს ჯარში 25 წლიანებზე უფროსები, მიიღოს სასტიკი ზომები ანარქიის წინააღმდეგ, დაიცვას ჯარში დისციპლინა, შემოიღოს სამხედრო ცენზურა, მოაწყოს კონტრ-დაზვერვა და სხ.

ვენ-ხონ.

---

მუდმივ თანამშრომელთაგანი იყო. არ იცის ალბათ იმიტომ, რომ ყოველ მის წერილს მუდამ ახალი ფსევდონიმი ჰქონდა, და ქვეშ კიდევ ასეთი წარწერა:

— ეშმაკო! გიძღვნი ძმურ სალამს და გიგზავნი ამ პატარა წერილს. ჩემი ფსევდონიმი მხოლოდ შენ იცოდე.

და მეც რასაკვირველია პირნათლათ ვასრულებდი მის სურვილს. თქვენ კი, ძვირფასნო მკითხველნო, კითხულობდით, სტკბებოდით და იცინოდით, მას უყვარდა უწყინარი, მეგობრული ხუმრობა, ყოველივე პირად ინტერესსა და ბოროტ განზრახვას მოკლებული. როცა მე ლევანის წერილსა ვკითხულობდი ჩემ თვალწინ სდგებოდა მისი ბუმბერაზული აღნაგობა ნათელი სახით და ბავშვური გულუბრყვილობით აღსავსე. მისი მშვიდი, უწყინარი ხასიათი თითქმის ყოველ სტრიქონში გამოსჭვიოდა. განსაკუთრებული ყურადღებით და სიყვარულით ლევანი ლეჩხუმის ამბებს ეკიდებოდა, იმ ლეჩხუმისას, სადაც ასე უღმერთოთ, ასე მუხანათურათ მოუსპეს მას სიცოცხლე.

**ლევანის შარჟი.**

ნაშუადღევის სამი თუ ოთხი საათი იქნებოდა, როცა შესწყდა კრება ამიერ-კავკასიის ს.-დ. მუშათა პარტიის პირველი ყრილობისა. ვგონებ შარშან ზაფხულში იყო ეს ამბავი. მე, ლევანი, რუბენ ლეჩხუმელი და გრიშა ურატაძე სადილისთვის შევედით ერთ-ერთ სარდაფში ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

— ეშმაკო, შენ რაღაც მათვალიერებდი დღეს. ბიჭო ღმერთი არ გაგიწყრეს, ვაგლახათ არ გამომხატო, თორემ ხომ იცი, ცოცხალი ვერ გადამირჩები. ხუმრობის კილოთი ჩამილაპარაკა ლევანმა.

— შენ ის გირჩევნია მე ნუ მადევნებ თვალს, თორემ იცოდე, როცა მე მიცქერი, საფრთხე სხვა მხრიდან წამოგადგება.

— კიდევაც გაბედავ რასმე.

— არა და რაჭა-ლეჩხუმის შემეშინება.

სწორეთ ამ ლაპარაკის დროს მომივიდა აზრათ ლევანის შარჟის დახატვა და ვსთხოვე ჩვენს მხატვარს, შ. ქიქოძეს, გადაეღო მისი სურათი. მეორე დღეს შარჟი უკვე მზათ იყო, მაგრამ მე ველოდი სიეზდის გათავებას და დეპუტატების წასვლა წამოსვლას, რომ ლევანს არ გაეგო ჩემი განზრახვა.

25 ივნისს, „ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდა უცნაური სურათი:—უზარ-მაზარი ფეხები, შუა წელამდე, რომელსაც ეწერა—„ვინაიდან მთელი ტანის ერთ ნომერში მოთავსება არ მოხერხდა დასასრული შემდეგ ნომერში იქნება“-თქო. მეორე კვირას ჩვენ მართლა დავბეჭდეთ ზემო ნაწილი შარჟისა, მაგრამ უამისოდაც ჩვენმა მკითხველებმა ტანისამოსითა და აღნაგობით იცნეს თუ ვის ეკუთვნოდა ეს უზარმაზარი ფეხები. ჩვენს ნაცნობ მეგობრებში დიდი მხიარულება გამოიწვია ამ ხუმრობამ. თითონ ლევანიც კმაყოფილი დარჩა, თუმცა პირველი მორიგი წერილის ბოლოში აწერდა:

— დამაცა, ეშმაკო, როცა იქნება კი ჩამივარდები ხელშიო.

ამ ნომერში მე საჭიროთ ვსცანი შევაერთო ის ორი ნახევარი და ერთად მოვათავსო. საკმარისია დახედოთ ამ სურათს, რომ ცოცხლად აღსდგეს თქვენ თვალწინ სახე ეგზომ ვერაგულათ მოკლული სახალხო გმირისა.

გული სევდით მევსება და ჯერაც ვერ შევრიგებივარ იმ უკულმართ სინამდვილეს, რომ დღეიდან ველარ ვნახავ იმ საყვარელ ადამიანს, რომლის უბრალო მოჩვენება იმედით ავსებდა ჩემს არსებას.

**ეშმაკი.**

---

# მობილიზაცია

**ჭიათურა.** ჭიათურის რაიონში მობილიზაცია კარგათ მიდის. 7 მარტს ბათუმისაკენ წავიდა ერთი ეშელონი, დაახლოვებით 250 კაცი. დანარჩენებიც ჩქარა წავლენ. მობილიზაცია ჯერ არ დამთავრებულა. ხალხი სიხარულით მიდის.

---

**სურები** (გურია). მობილიზაცია დასრულდა, სურებმა ჯერჯერობით ბათუმში გაგზავნა 1 მარტს ასი შეიარაღებული რაზმელი, 4 მარტს, სურებში მოვიდა ოზურგეთიდან გამოგზავნილი ამხ. პ. თოთიბაძე, რომელმაც გააკეთა მოხსენება საერთო შეიარაღების და რაზმების დაუყოვნებლივ ბათუმში გაგზავნის საჭიროებაზე. მეორე დღეს კიდევ შედგა რაზმი და 7 მარტს 120 კაცი გამოგზავრა ბათუმში.

---

გურიაში მოქმედ სხვადასხვა პარტიებმა გადასწყვიტეს შეადგინონ **რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვის გურიის კომიტეტი.**

ხსენებული კომიტეტი სამხედრო საქმეში გურიის საზღვრებში უზენაესი უფლებით არის აღჭურვილი და მას ევალება სამხედრო ძალების სრული მობილიზაციის მოხდენა და შიგნით რევოლიუციონური წეს-რიგის დაცვა. მას ემორჩილება: წითელი გვარდია, მილიცია და გურიის ყველა აღმასრულებელი კომიტეტ-ორგანოები. კომიტეტი 2 მარტიდან უკვე შეუდგა მოქმედებას და ვისაც სწამს რევოლიუცია და სამშობლოს კეთილდღეობა მოუწოდებს დაემორჩილოს კამიტეტის განკარგულებას:

1) არავის ნება არ აქვს სიტყვიერი ან წერილობითი პროპაგანდა—აგიტაციით თავდაცვის საწინააღმდეგო აგიტაცია გასწიოს, ან დაგმოს თავ-დაცვის კომიტეტის, სეიმის და კომისარიატების განკარგულება.

2) ყველა მოქალაქე, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება, ვალდებულია იარაღით ხელში თუ აქვს და თუ არ აქვს მაინც დაუყონებლივ გამოცხადდეს საცა მოუწოდებენ.

3) რევოლიუციისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის საჭიროა მოხდეს, როგორც იარაღით მებრძოლთა მობილიზაცია აგრეთვე იარაღებისა, ამიტომ ვინც მოღალატე არ არის რევოლიუციისა და სამშობლოს, ვალდებულია დაუყონებლივ ჩაეწეროს ჯარის რომელიმე ნაწილში, როგორიც არის: ნამდვილი ჯარისკაცი, წითელი გვარდია, მილიცია, მოხალისე, მას კი, ვისაც იარაღი აქვს და ხსენებულ ნაწილებში არ ჩაეწერებიან წინადადება ეძლევათ თავის ნებით იარაღი ფიცხლავ ჩააბარონ ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანიზაციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღი ძალით ჩამოერთმევათ და გარდა სახალხო გაკიცხვისა დაისჯებიან ციხეში ჩასმით 3—6 თვემდე და ვინც იარაღს გადამალავს, ის კიდევ სასტიკათ დაისჯება.

4) მარტო ის, ვისაც უწევს ნამდვილი ჯარისკაცობა და ხუთ მარტამდე არ ჩაეწერება, გამოცხადდება მოღალატე—დეზერტირათ და მიიღის ულმობელი და უსასტიკესი სასჯელი: აეყრება მოქალაქის ყოველივე უფლება და საუკუნოთ განიდევნება სამშობლოს საზღვრებიდან.

5) დედა-კაცებს მოუწოდებთ ხელი შეუწყონ რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვას, ამიტომ ისინი უნდა ჩაეწერონ სათნოების დებათ და მასთან გაამხნეონ მამა-კაცები ბრძოლის ველზე წასასვლელად. მასთან ყოველივე ღონისძიებით ეცადონ ოჯახურ საქმიანობას და მეურნეობას.

6) ყველა მოქალაქე ვალდებულია არ გაავრცელოს შეუმოწმებელი ხმები, რომელიც გამოიწვევს ხალხის ძრწოლას.

7) სამხედრო წესის მიხედვით დაისჯება ის, ვისაც დაუმტკიცდება მტერთან რაიმე კავშირი.

8) ვისაც ყავს ეტლი, დილიჟანსი, ლინეიკა, ავტომობილი, ცხენი, ჯორი, ვირი და ხარი ყველა ვალდებულია სამხედრო საჭიროებისათვის პირველ მოთხოვნაზე წარმოადგინოს და ვინც გადამალავს, მას უფასოთ ჩამოერთმევა და კიდეც დაისჯება.

9) ყველა ის სავალდებულო დადგენილებანი, რომლებიც გამოცემულნი იყო გურიის აღმასრულებელ ორგანიზაციებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ რჩება ძალაში.

ვინც არ დაემორჩილება ზემოთ ჩამოთვლილ სავალდებულო წესებს დასჯილ იქნება სამხედრო წესის მიხედვით, მათ გაასამართლებენ საჯარო გაკიცხვით ან სამხედრო ტრიბუნალის მიერ დაპატიმრებულ იქნებიან 3—6 თვემდე და შეიძლება დაისაჯოს სამშობლოდან საუკუნო განდევნითაც.

ამ კომიტეტმა უკვე გამოსცა მოწოდება ქართველი ერისადმი, რომლითაც მოუწოდებს ყველას შეიარაღდის და გურულებს ამოუდგეს გვერდში ფრონტის დასაცავათ.

---

# მიშა აბულაძე

ქუთათურ „სოციალდემოკრატში“ ასეთი ტრაგიკული სულისკვეთების გამომხატველი სტრიქონებია მოთავსებული დია ჩიანელისა, რომლის უცაბედმა ტყვიამ იმსხვერპლა ამხ. მიშა აბულაძე:

„მიშა!

ვქვითინებ—

უბედური—უბედურ მეგობარს!

აღარა მყავს ჩემი მიშა, ჩემთან შეზრდილი, ჩემთან ჭირსა და ლხინში ერთათ მყოფი.

მე თვით მოვუსპე სიცოცხლე იმას—ვინც ჩემთვის ყველაფერი იყო.

მე თვით მოვსტაცე მიშას ცხოვრების გაზაფხული და მინდოდა მასთან ერთად ჩემიც დასრულებულიყო, მარა ულმობელი ყოფილა ცხოვრება.

ულმობელი და ვქვითინებ—უბედური, უბედურ მეგობარს.

ჩემო მიშა!

რა ვქნა, რით ვაპატიო ჩემს თავს შენი სიკვდილი.

ჩვენ ხომ ერთი ვიყავით:

პატარაობიდან ერთი სულით, ერთი გულით გამსჭვალული.

შენ ხომ ჩემი მეგობარი და მასთან ჩემი მასწავლებელიც იყავი.

ბევრჯელ ჩვენ, იქ, ცივს რუსეთში ხომ ერთმანეთისთვის დედობაც გაგვიწევია.

და მე უბედურმა გიმსხვერპლე.

რათ, რათ ვიყავით სულ ერთათ.

რათ?!

ალბათ ჩვენი სიყვარული, მეგობრობა დიდი იყო, მარა ამ დიდმა მეგობრობამ დააჭკნო შენი გაზაფხული.

და რა ვქნა მე უბედურმა.

რა!

მითხარი, შენ ხომ ჩემთვის ბევრჯელ დაგირიგებია ჭკუა და მეც გამგონე ვიყავ შენი.

მითხარი!

მითხარი!

ძვირფასო! ნუ დაიბარებ კიდევ, როგორც იმ უბედურ ღამეს:

დათიკოს მიხედეთ, მე არა მიჭირსო.

ნუ...

შენ სიკვდილის დროს ჩემზე ფიქრობდი და მე ცოცხალს უნდა ამეტანა შენი მოშორება.

ცუდი ჰქენი, რომ ამხანაგები ჩემზე გააფრთხილე.

განა უკეთესი არ იყო მეც შენთან წამოვსულიყავ!

შენთან დამეთავებია მეც ცხოვრების წიგნი!!

ახლა კი რა ვქნა; მომხედეს ამხანაგებმა და შენთან წამოსვლის დაშლით—მაინც ვერ მიშველიან.

კვდება, ბიჭო, ჩემი სული და ის შემოდგომა, რომელიც სულს ეპარებოდა, ახლა ჩემთან არის.

მოესპო სულს უკანასკნელი სიხარული და ობოლი ვარ.

ობოლი!

იძინე ჩემო ძვირფასო, ძვირფასო და კიდევ ძვირფასო მეგობარო!

მშვიდობით!

დღეს მე შენს ძვირფას კუბოსთან არ ვიდგომები ლოგინათ ჩავარდნილი მეგობარი.

ნუ დამემდურები—ჩემს მაგივრათ ჩვენი საყვარელი ხანის წყალი, რომლის პირათ შენი საფლავი იქნება,—დაგიტირებს.

მშობლიური მინდვრები, სადაც ერთად გვირბენია, უკანასკნელ თაიგულს მოგართმევს...

მშვიდობით ჩემო ერთად ერთო.

უკანასკნელად ჩემი სულიც ეხება შენს ტუჩებს და ძმურათ კოცნის.

მშვიდობით!

შენი ცხოვრების გაზაფხულის მომსპობი, უბედური ძმა **დია ჩიანელი**“.

---

# თელავის ამბების გარშემო

ვინ იყო მიზეზი თელავში მომხდარ რბევისა და სისხლის ღვრევისა?

ამ კითხვის გამოსარკვევათ შესდგა საგანგებო კომისია სხვადასხვა რევოლიუციონური პარტიებისაგან, რომელიც გამოიძიებს დაწვრილებით და უტყუარი ფაქტებით წარდგებიან საზოგადოების წინაშე, და სამარცხვინო ბოძზედ გააკრავენ ნამდვილ დამნაშავეებს.

სანამ ნამდვილი პროვოკატორების საქმიანობა გამომჟღავნდებოდეს კომისიის საშუალებით, მანამდის მინდა ამ წერილით პასუხი გავცე რადიკალ-დემოკრატებს და ნაციონალ-დემოკრატების გაზეთებში მოთავსებულ წერილების ავტორებს, რომლებიც ეხებიან თელავის ამბებს და ტალახს ს.-დემოკრატებისკენ ი'ვრიან.

„ჩვენი რესპუბლიკის“ № 461-ში მოთავსებულია წერილი ამ სათაურით: „ვისი ბრალია“. ვრცლათ არ შევეხები ამ ვეებერთელა აბდა-უბდას. ავღნიშნავ მხოლოდ იმ ადგილს, სადაც ის ბრალს სდებს მომხდარ ამბებში კომისრებს, ქალაქის თავს ანდრონიკაშვილს, მუშათა საბჭოს და ჩოხატაურ-იმერლებს. ბრალდება იმაში გამოიხატება, რომ რადიკალ-დემოკრატების წარმომადგენელს, ქალაქიდან მოსულს, ნება არ მისცეს რაზმის შედგენისა, რომელიც თურმე მოსპობდა მთელ გუბერნიაში ანარქიას. წერილის ავტორს უნდა მოვახსენო, რომ სწორეთ ის რაზმი, რომელიც დაშალა მუშათა საბჭომ და რომელიც ეზიარა ცხრა პარტია მოვლილ ა. ახმეტელაშვილის ლოცვა-კურთხევით ნაციონალ-დემოკრატების ბიუროში, ამ დაშლილ რაზმის უმეტესობა ჩაეწერა 8 ქართულ პოლკში და ახმეტელაშვილის მინდობით აღჭურვილი პროვოკატორი გ. მწყერაძე, რომელიც მეთაურობდა ახმეტელაშვილის რაზ. შედგენას, ეს მოუძღვა სალდათებს კომისარიატის ასაკლებლათ. აი ვისგან სდგებოდა „ჩვენი რესპუბლიკის“ მწერალო თქვენი რაზმი და რისთვის დაშალეს იგი!..

რაც შეეხება ჩოხატაურელ-იმერლებს, აი აქ არის სწორეთ ძაღლის თავი დამარხული, რასაც სხვა სახელი არ ეწოდება, გარდა პროვოკაციისა. ჩოხატაურელი ვინც არ ვარგოდა, ის გაისტუმრეს კიდეც, მაგრამ ენა უნდა გაუხმეს იმას, ვინც ვერ დაამტკიცებს, რომ ვინც არიან აქ, ისინი ვერ ემსახურებიან რევოლიუციას პირნათლათ.

განა პროვოკატორი არ არის ის, ვინც კახელ გლეხებს იმერლებზე ამხედრებს? წერილის ავტორს რომ დავუჯეროთ, ჩოხატაურელ იმერლების—კარლო ჩხეიძის, ევ. გეგეჭკორის, ის. რამიშვილის და ნოე ჟორდანიას მაგივრათ სათათბიროში უნდა გაგვეგზავნა კახეთში მცხოვრებნი ნაციონალ-დემოკრატები—თარხნიშვილი, ჭავჭავაძე, ვახვახიშვილი და სხვები. მაშინ, ნამდვილი დემოკრატები იქნებოდენ არა ს. დ. დემოკრატები, არამედ რადიკალ და ნაციონალ-დემოკრატები საქმეში. ასეთი დემოკრატობა თქვენთვის დაგვილოცნია.

ახლა მინდა ვუპასუხო „საქართველოს“ № 47-ში მოთავსებულ წერილის ავტორს, ამავე კითხვაზე, რომელიც ამბობს, რომ პროვოკატორებმა ნაციონალ-დემოკრატებს დააბრალესო. რომ იტყვიან, ქურდს ქუდი ეწვისო, სწორეთ ამაზე არის ზედგამოჭრილი. ჯერ გადაჭრილი ბრალდება არავის არავისთვის წაუყენებია, რადგან კომისია ახლა შეუდგა გამოკვლევას და როცა გაათავებს გამოძიებას, მხოლოდ მაშინ გავიგებთ სინამდვილეს, მაგრამ ერთი მინდა შევკითხო წერილის ავტორს: რატომ იყვენ თავის ნებით ჩაწერილნი ამ მძარცველების პოლკში სტუნდენტები, ნაც.-დემოკრატები: ვ. ციცქიშვილი, მაისურაძე და შოშიაშვილი, რომელთაც მუშათა საბჭო ჭირივით სძულდათ? რათ ჰყავდა თქვენს საუკეთესო აფიცერს თარხნიშვილს ცნობილი პროვოკატორი და კაცის მკვლელი მწყერაძე თავის როტაში, რომელსაც ციხე აქვს გადაწყვეტილი და 40 წელზე აღემატება? რატომ ირეოდენ ნაციონალ-დემოკრატების ბიუროში ხულიგანი სალდათები, რა ჰქონდათ საერთო მათთან? ან რატომ თხოულობდენ ნაციონალ დემოკრატების წევრები თარხნიშვილი და მწყერაძე მძარცველი ჯარისკაცების სახელით კომისრობას.

აი ყველა ესენი ჰბადებენ ეჭვებს და თუ შესძლებთ „საქართველოს“ წერილის ავტორო ამ ეჭვების გაფანტვას, საზოგადოებაც შეიცვლის აზრს თქვენზე.

მეთვალყურე.

---

# კვარცხანიდან ბათუმამდე

კვარცხანის ქარხნის მუშები გამოემშვიდობენ კვარცხანის არე-მარეს; ქარხნის ლიკვიდაცია რვა თებერვალს დასრულდა.

მიზეზი 7 თებერვალს ბორჩხაში შეიარაღებული ბრბოს თავდასხმა იყო. ჭოროხის მიმართულებით და ანატოლიის ახლო-მახლო კუთხეებში ძარცვა-გლეჯამ ართვინის მცხოვრები სომხები, ბერძნები და კვარცხანის მუშები დიდ საგონებელში ჩააყენა და ბათუმისკენ თავიანთ ბარგი-ბარხანით იწყეს დენა. ესენი ორ ცეცხლს შუა იყვნენ მომწყვდეული: თავიანთ ადგილზე თუ დარჩებოდენ, იქ დარბევით ემუქრებოდენ, ბათუმში წავიდოდენ და ბორჩხაში ძარცვავდენ. კვარცხანის ქარხნის ადმინისტრაციას სამგზავრო ტრანსპორტი მოწესრიგებული არ ჰყავდა და ამიტომ სამ კვირას მორიგობით მგზავრობამ გასტანა. კვარცხანის მუშები ბევრი ეცადენ, მაგრამ ისინი თავის ბედისწერას ვერ ასცდენ. პირველად დაუწყეს გზაში ძარცვა ბერძნებს და სომხებს. და მიტომ ესენი ქართველ მოწინავე ჯგუფს სთხოვდენ დახმარება გაეწიათ გამგზავრებაში. მოწინავე ქართველი ჯგუფი მათ თანაგრძნობით ხვდებოდა და თავის რიგ ფურგუნს მათ უთმობდა.

ეს ადგილობრივმა თათრებმა შეამჩნიეს და ქართველებს შამოუთვალეს, რომ ჩვენ თქვენი საწყენი არ გვინდა რომ ჩავიდინოთ და ჩამოშორდით სომხებს, წადითო, მაგრამ ეს ჩვენი მხრით არ ხერხდებოდა. ყველა მუშები კვარცხანიდან გავიდენ. უკანასკნელათ 27 თებერვალს მოგვიწია მგზავრობა 16 ქართველს. ჩვენი წამოსვლის დროს ადგილობრივმა თათრებმა თავი მოიყარეს,—სამ ვერსზე გამოგვამგზავრეს,—გამომშვიდობების დროს ერთმა მათგანმა სთქვა: ჩვენ თქვენ პატივის ცემას არ დავივიწყებთ, თათარსა და ქართველს შორის რაც შური უნდა ჩამოვარდესო.

თუთხმეტი ვერსი რომ გამოვიარეთ გზაზე გვითხრეს, რომ შეიარაღებულები გაუძარცვავს არავის უშვებსო. ოთხმა კაცმა ფურგუნებს წინ გამოვასწარით მათთან მოსალაპარაკებლათ. მათ „პოსტს“ რომ მივუახლოვდით, დაიწყეს სროლა; ჩვენ ამოვიღეთ თეთრი ტილო და ვუჩვენეთ მათ. სროლა შესწყვიტეს. ჩვენც წინ მივიწევდით, რამოდენიმე ფეხის ნაბიჯს რომ გავიარდით, ისევ ისვრიდენ. მაგრამ მაშინვე თეთრ ტილოს ვუჩვენებდით. ასე მიუახლოვდით. როცა დაუპირდაპირდით, შეგვეგება გზაზე ორი იარაღიანი, გაგვაჩერა და გვითხრა: თუ ვინმეს ფული გაქვს, მოგვეცითო, აართვეს არტ. კაჭახიძეს საათი და ფული, აგრეთვე დავ. კოლუაშვილსაც.

შემდეგ ჩვენ დავუწყეთ მათ ლაპარაკი და ვსთხოვეთ: ჩვენთვის როგორც ქართველი მუშებისთვის ბარგი არ წაერთმიათ. ბოლოს იმათ აღგვითქვეს თოფების მეტს არაფერს წავიღებთო. შემდეგ ჩვენ ოთხი კაცი ისევ წინ წამოვედით ბორჩხაში მოსალაპარაკებლათ. სანამ ბორჩხაში ჩამოვიდოდით გზაში საფრებიდან ხშირად ისვროდენ, თუ თეთრ ნიშანს ძირს დავუშვებდით. ბორჩხაში რომ ჩავედით, იქაც შეიარაღებული ლაზები იყვნენ. შეგვიპატიჟეს საყავეში, მოგვაწოდეს თუთუნი და დაგვიწყეს მუსაიფი. გვითხრეს: ქართველებმა ჩვენ ჩხუბი გამოგვიცხადეს, თქვენ ტყვეთ ხართო. ჩვენ მათ ვსთხოვეთ, რომ გავეშვით გაუძარცვავი. ხანგრძლივი თხოვნის შემდეგ შეგვპირდენ გაგიშვებთო, მაგრამ, როცა ფურგუნებმა მოაღწია და ჭოროხზე გასასვლელ ხიდს დავუპირდაპირდით ფურგუნებზე შეცვივდენ და დაარბიეს. ცხენები გამოხსნეს, წაიყვანეს, გავიდენ ჭოროხს გაღმა, შემთხვევით ორი ფურგუნი წინ დარჩა გაძარცვავი. შემდეგ სამი ცხენი გამოგვიგზავნეს. ერთი ფურგუნი ბარგით წამოვიდა, ხოლო მეორე დარჩა. სამმა კაცმა ისევ ბორჩხაში შემოვიცადეთ, სანამ სხვა ფურგუნი არ წამოგვეწეოდა. ღამე გავითიეთ ფოშტის შენობაში. ბორჩხა ბრძოლის ველს წარმოადგენს. მეორე დილით 7 საათზე ექვსი ცხენით მოვიდა გზის ამრეკი, მათი გამოგზავნილი. დაათვალიერეს და რომ არავინ დაინახეს მოწინააღმდეგე, სხვებსაც ანიშნა და შეიარაღებულმა ბრბომ ბორჩხაში ისევ თავის „პოსტზე“ ჩადგა. ჩვენ დიდი თხოვნით დაგვითმეს ორი ცხენი და წამოვედით.

უარესი განსაცდელი დაგვადგა ჩვენ მარადიდში. ბორჩხას რომ გამოვსცილდით, მერმე შეიარაღებული აჭარლები გვხდებოდენ. გვეუბნებოდენ მარადიდს იქით არ გაგვიშვებენო, მაგრამ ჩვენ მაინც წინ მივიწევდით. მარადიდში ორი ქართველი ფურგუნით დატყვევებული დაგვხვდა. და ჩვენც მათთან გაგვაჩერეს. ჩვენ მათ მეთაურებთან გავაბით ბაასი, აღმოჩნდენ ჩვენი სოფლის ნაცნობებიც აჭარლები. მოვიყვანეთ მაგალითები, თუ რამდენათ დამღუპველია ჩვენ შორის შურის ჩამოვარდნა—გზაში გაძარცვა, მოკვლა. ბოლოს გვიპასუხეს: „ქართველებმა რაც პატივი გვცეს, ბოლოს წაგვამწარეს ყველაო:—რუსებმა ბათუმი მოგვცა და ქართველები გვართმევენო, მაგრამ სამ დღეში ბათუმს ძალით ავიღებთო“. დიდი თხოვნის შემდეგ ჩვენ გაგვანთავისუფლეს, ოთხ საათამდე დატყვევებული ვიყავით.

ივაკო გიორგაძე.

---

# სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 6 მარტს მოხდა რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 14 წევრი. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: მოხალისეთა რაზმების შედგენა; რუსთა ნაციონალური საბჭო; ამხ. წერეთლის ლექცია გაზეთ „ბორბის“ სასარგებლოთ; მოხსენებები. ამხანაგი მარკარიანი აკეთებს მოხსენებას, რომ თფილისში შესდგა საერთაშორისო მოხალისეთა რაზმი. ეწერებიან უმეტესათ სომხები, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა სოციალისტურ პარტიებს; მოთავე ჯგუფიც სულ სომხებია. რომ ამ საქმეს მიეცეს ინტერნაციონალური ხასიათი, საჭიროა სხვა ეროვნების ამხანაგებმაც მიიღონ მონაწილეობა და გავიდენ მოთავეთა კომისიაში. გადაწყდა, რომ ჩვენმა ამხანაგებმა, რომლებიც მო-

ხდებიან მოთავეთა კომისიაში ეცადონ მიიწვიონ კოოპტაციის საშვალებით სხვა ეროვნების ამხანაგებიც, რომლებიც მათის აზრით საჭირონი დარჩებიან საქმის მოწყობისათვის. აცნობენ კრებას, რომ რუსთა ნაციონალურ საბჭოში გამარჯვება დარჩათ „რუსთა კავშირის“ წევრებს. ეს არა სასიამოვნო მოვლენა ბადებს მეორე ხიფათს, რომელიც მდგომარეობს საბჭოს მიერ სამხედრო ნაციონალურ ნაწილების შედგენაში. რომ ეს ხიფათი თავიდან აცილებულ იქმნას საჭიროა სამხედრო ნაწილების შედგენას საფუძვლათ დაედოს საზოგადოთ ტერიტორიალური პრინციპი. ჩვენს ამხანაგებს კი, რომლებიც მოხდენ რუსთა ნაციონალურ საბჭოს წევრებათ გამოეცხადოს, რომ ისინი სასტიკათ დაემორჩილონ პარტიულ დისციპლინას და გაატარონ ცხოვრებაში ჩვენი უკანასკნელი პარტიული ყრილობის დადგენილებანი. მიენდო გვარჯალაძეს სთხოვოს აკ. წერეთელს წაიკითხოს ფასიანი ლექცია გაზეთ „ბორბა“-ს ფონდის გასაძლიერებლათ. დასასრულ აკეთებენ მოხსენებებს ლეჩხუმში მომხდარ ამბების შესახებ, გაზეთ „ბორბა“-ს ფინანსიურ საშვალებების გამონახვაზე და სხვა.

კ-ის კომიტეტი.

## ჯარისკაცთა წერილები

**მოხალისენი ბათუმში.** ბალშევიკების ზავის თანხმად ბათუმის და ყარსის ოლქების თათრებზე გადაცემით მთელი ამიერ კავკასიის ბედ-იღბალი გადაეცა ბარბაროსულ ოსმალეთის მთავრობას.

ამ ამბებმა დიდათ აალელვა ხალხი გურიაში. ყველა საზოგადოებებში ხდება მიტინგები, ხალხმა ერთხმათ დაგმო ბალშევიკების მთავრობის მოქმედება. მრავალი ჩაეწერა და ეწერება მოხალისეებათ. ჩაწერილებმა ფიცი დასდევს, რომ სისხლს დაღვრიან და მტერს არ დაუთმობენ. სუფსის რაიონიდან ას კაცამდე ჩაეწერა, რომლებიც 27 თებერვალს გაემგზავრენ ბათუმში. ბათუმში ამხანაგები აღფრთოვანებით შეხვდნენ მოხალისეებს. ზემო დასახელებულ მოხალისეთაგან შეადგინეს მეექვსე როტა მსროლელ პოლკისა. შემადგენლობა მოხალისეთა არის პარტიული და საიმედო ამხანაგები. ბათუმში დაბინავებისთანავე ხელათ შეუდგენ ორგანიზაციულათ მოწყობას და შეკავშირებას, რისთვისაც მეორე დღესვე დაიკავეს კავშირი ყველა რევოლიუციონურ ორგანოებთან და აირჩიეს თავიანთ შორის წარმომადგენლები. ცოტა გულ დაწყვეტილნი ვართ ჯურუყვეთის საზოგადოებისგან, მეტ დახმარებას მოველოდით მათგან საერთო საქმეში, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ასეთ მწვავე დროს ჯურუყვეთელი ამხანაგები ამას ანგარიშს გაუწევენ და არ ჩამორჩებიან სხვა საზოგადოებებს.

27 თებერვალის მიტინგს სუფსაში დაესწრო დიდ-ძალი ხალხი. ამ მიტინგზე ადგილობრივმა ბალშევიკებმა მოიყვანეს ცნობილი ასკურავა, რომელმაც დიდხანს ილაპარაკა, მაგრამ ხალხმა მას შესაფერი პასუხი გასცა. ბალშევიკები და მისი ბელადი დამარცხდენ. ხალხმა ნათლათ დაინახა, დააფასა მკვეხარა ბალშევიკების წარსული და მომავალი და დაუმტკიცა მათ, რომ ძნელია მოტყუილება ლამაზი დაპირებებით.

ჯარისკაცი მართაშვილი.

## მუშათა შორის

**თფილისი.** იმ სასტუმროების მუშამოსამსახურეთა ცხოვრება, რომელთაც სასადილოები თან არ აქვს, პირდაპირ აუტანელია. ხარჯის ნაცვლათ თვეში 15 მანეთს იღებენ და შემოსავალიც 150—160 მ. არ აღემატება. აბა, თითონ დაფიქრდი მკითხველო და გაიგებ რანაირ მდგომარეობაში იქნება ეხლანდელ დროს ის ადამიანი, რომელიც დაახლოვებით 200 მანეთს არ იღებს თვეში. მართალია, მოთხოვნილებებს უყენებენ ხშირად დაწესებულებათა პატრონებს, ცხადდება გაფიცვა, მაგრამ „ხაზეინები“ გამოუცხადებენ: კარგი, თანახმა ვართ, დაიწყეთ მუშაობა და საქმე მომრიგებელ კამერას გადაეცემაო. ამ უკანასკნელში კი საქმე მუდამ „ხაზეინების“ გამარჯვებით თავდება. აქ არ უძევს ბრალი არავის გარდა თვით მუშებისა. რატომ? იმიტომ, რომ გაფიცვის გამოცხადებას გადასწყვეტენ კრებაზე, სადაც ყველანი ერთათ არიან, მაგრამ როდესაც თავიანთ სახლებში წავლენ, გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ყველას უჭირს. ისევ ის ურჩევნია, რომ თავის „ხაზეინს“ თავი შეაცოდოს და იმის გადმოგდებული წყალობით გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები. მეორე მხრით ფორმალურათ კავშირის წევრობაც უნდა და იმის შიშით, რომ კავშირიდან არ გამორიცხონ, საერთო გადაწყვეტილებას თანხმდებიან. მაგრამ როცა ხაზეინები ბრძანებენ: მუშაობა დაიწყეთ და საქმე მომრიგებელ კამერამ გაარჩიოსო, მუშებიც მუშაობას იწყებენ და კამერის გადაწყვეტილებით „ხაზეინები“ ხშირათ იმარჯვებენ.

მოკლეთ, რა არის მიზეზი, რომ მუშები მუდამ მარცხდებიან? ვუპასუხებ უორგანიზაციობა, სახელათ კავშირი და საქმით „ხაზეინების“ ნასუფრალისათვის შეკვრა.

დროა, ამხანაგებო, გონს მოვიდეთ და შევიგნოთ, რომ ძალა ერთობაშია.

არ შემიძლია მწუხარებით არ აღვნიშნო პროფესიონალური კავშირის გამგეობის სრული უმოქმედობა, გამოკლებით ერთი ამხანაგისა, როგორიც არის ვარლამ ბიბილაიშვილი. სწორეთ ეს ერთათ-ერთი ამხანაგია, რომ სათანადო ენერგიას ხარჯავს კავშირში.

შვეიცარი.

**სამტრედიის რკ. გზის დეპო.** გასული წლის, მგონი მაისის თვეში თფილისში შესდგა ტეხნიკური კომისიების წარმომადგენელთა კრება სხვადასხვა დეპოებიდან, რომლის მიზანი იყო გამოერკვია მუშაობის მდგომარეობა დეპოებში ამიერ-კავკასიის რკ. გზაზე. როგორც გამოგვცეს, იქ სამტრედიის წარმომადგენლებს თითქმის ყველაზე უკეთესათ დაუხატავთ მუშაობის მსვლელობის საქმე. რასაკვირველია წარმომადგენლები თავისთავად იქ კარგს ვერაფერს იტყოდენ, რომ სამისო მასალა ხელთ არ ქონოდათ და ამის გამო სამტრედიის დეპომ „შვეიცარიის“ სახელწოდებაც კი დაიმსახურა ზოგიერთების თვალში. ეს იყო მაშინ და ახლა კი, როგორც ირკვევა, სამტრედიის დეპოშიაც იკიდებს ფეხს ზოგიერთ ნაკლებათ შეგნებულ მუშებში საქმისადმი გულგრილობა და მით შრომის ნაყოფიერების შემცირებაც. უეჭველია, დღეს შრომის ნაყოფიერების შემცირების მიზეზები როგორც სხვაგან, ისე აქაც სხვაც ბევრია, მაგრამ ჩვენი ვალია ამისთანა დროს ჩვენზე დამოკიდებული მიზეზიც ზედ არ დაემატოს, ვინაიდან, როდესაც ამ გარეშე სხვა მიზეზებს შინაური მიზეზები კიდევ დაემატება, მაშინ მუშაობის ნაყოფიერების რაოდენობაც მთლათ არარათ იქცევა.

ყველა გარეშე და შინაურ მიზეზების ჩამოთვლას ახლა აქ არ შეუდგებით, ამისი დროც არ არის, აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტებს: იმ დროს, როდესაც დიად რევოლიუციის მიერ მოპოებულ თავისუფლებას უკიდურესი განსაცდელი მოელის, იმ დროს, როდესაც გარეშე მტერი კარზე მოგვდგომია და იძულებული ვართ ოთხი წლის ომში წელში-გაწყვეტილ მეომრებს ისევ საომრათ მოვუწოდოთ, იმ დროს, როდესაც სურსათის საქმე ჩვენში უკიდურესათ განადგურებულია და სხვა, ამისთანა დროს მუშების მხრით სამუშაოზე გულის აცრუება ნიშნავს არაფერი გასაჭირის არ ცნობას და პირდაპირ ყოველგვარი კეთილი საქმის ღალატს. და აი, ზოგიერთ თავაშვებულ მუშის არასასურველ მოქმედებას აშკარათ შეამჩნიეს ადგილობრივმა მოწინავე დეპოს მუშებმა და ამ თვის პირველს სამტრედიის რკ. გზის კლუბში გამართეს საერთო მასიური კრება, სადაც აღნიშნეს ყველა არა-სასურველი მოვლენები დეპოში და მოუწოდებდენ ყველას სასტიკათ დაეცვათ მუშაობის დროს სამუშავო სავალდებულო დისციპლინა. და თუ ვინიცობაა, ვინმემ მაინც არ დაიშალა და განაგრძო თავისი უმგვანო მოქმედება, ამისთანეების გასასამართლებლათ მუშებმა აირჩიეს თავიანთ შორის რევოლიციონური სასამართლო. რევოლიუციონურმა ნასამართლომ დეპოში მომუშავეთა დადასტურებით უკვე გამოსცა ყველასთვის სავალდებულო დადგენილება, რომელიც 6 მარტიდან უკვე შედის ძალაში. დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან სასტიკათ. მაგრამ ხსენებულ სასამართლოს იმედი აქვს, რომ სამტრედიის დეპოს მუშები და მოსამსახურეები გამოიჩენენ შესაფერ შეგნებას, არ უღალატებენ თავიანთ ძველ ტრადიციულ ჩვეულებას, მუშაობისადმი მუყაითობას და ამ გზით რევოლიუციონურ სასამართლოსაც არ მისცემენ საბაბს, რომ დეპოში რომელიმე მომუშავე იქნეს გასამართლებული ამ მეტათ მძიმე და კრიტიკულ მომენტში.

დ—ო.

## პროვინცია

**ხ. მოლითი.** მოლითი, რომლის ირგვლივ მრავალი სოფლებია გაშენებული, ახალი წყობილების საადმინისტრაციო ცენტრათ გადაიქცა და მთელი რაიონის ხელმძღვანელობაც მას არგუნა ბედმა. აღმასრულებელი კომიტეტისა და საგლეხო რევოლიუციონურ საბჭოს გარდა, ჩვენი მოწინავე ამხანაგების ინიციატორობით მოეწყო აქ სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაცია, რომელიც ყოველთვის თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგა ხოლმე და შესაფერ ხელმძღვანელობას უწევდა როგორც საზოგადო, აგრეთვე ადმინისტრატიულ საქმეებს. პარტიულმა ორგანიზაციამ, მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა, მჭიდროთ შეაკავშირა სოფლისა და რკინის გზის მუშები, მთელი თავისი ყურადღება სოფლელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას მიაპყრო და ამ გზით შექმნა ის რევოლიუციონური სიმაგრე, რომლის კედლებზედაც ხალხმა ახალი ცხოვრების შენება იწყო. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ეს სანეტარო სურათი დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ფრონტის დარღვევამ, დაარღვია სოფლის ცხოვრებაც. ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა სოფლებში თუ დაბა-მაზრებში ანარქია გაამეფეს და ყველაფერი ის, რაც რევოლიუციის მიერ იქნა აშენებული, რამდენიმე კვირის განმავლობაში დაანგრიეს. ეს უბედურება არც მოლითს ასცდა. აქაც იწყეს თარეში ამ ვაჟბატონებმა. პირველი იერიში მათ ჩვენს მოწინავე და ორგანიზაციის ხელმძღვანელ ამხანაგებზე მიიტანეს, ხალხი მათ წინააღმდეგ აამხედრეს და რომ თავიანთი გავლენა დაემყარებინათ ხალხში, არავითარ ჭორს, არავით პროვოკაციას აღარ ერიდებოდენ.

4 მარტს მოწვეული იყო მოლითში სახალხო მიტინგი—სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვების გამოსარკვევათ, როგორიც იყო მაგალითათ: მობილიზაციის საკითხი, დღევანდელი მდგომარეობა და ბალშევიკების მიერ შექმნილი არევ-დარევა. მიტინგზე ორატორებათ გამოვიდენ ყვირილიდან მოსული ამხანაგები, მაგრამ მათ აღარ დააცალეს ლაპარაკი, „ბალშევიკების“ მიმდევარმა ჯარისკაცებმა ასტეხეს საშინელი ღრიანცელი და მიტინგი ჩაშალეს.

ამას გარდა ჯარისკაცებმა შემოარტყეს ალყა ჩამოსულ ამხანაგებს და იარაღით ხელში მოკვლაც კი მოუნდომეს. მაგრამ საბედნიეროთ ამ ხიფათს ისინი ასცდნენ და თავს უშველეს. გამოირკვა, რომ ამ ბრბოს ხელმძღვანელობდენ სოფელ ნებოძირის მცხოვრებნი—მოლითში მოკალათებულ შავრაზმელების მხურვალე მონაწილეობით და წაქეზებით. ამ დღის მოქმედებით წათამამებულმა ჯარისკაცებმა და შავრაზმელებმა თავისუფლათ იწყეს თარეში მთელ რაიონში, მთელი ძალა-უფლების ბატონ-პატრონათ გამოაცხადეს თავიანთი თავი და ჩვენი პარტიული ორგანიზაციის წევრებს გასამართლებით ემუქრებოდენ და მართლაც გაასამართლებდენ, რომ ამ დროს ყვირილისა და ხაშურის წითელ გვარდიელებს არ მოესწროთ და შექმნილი მდგომარეობა არ გამოეკეთებინათ. 5 მარტს, დარაზმულმა გვარდიელებმა ალყა შემოარტყეს მოლითის ირგვლივ მდებარე იმ სოფლებს, სადაც მოკალათებული ბრძანდებოდენ ბალშევიკების ქურქში გახვეული ჯარისკაცები, აჰყარეს მათ იარაღი და რამდენიმე მათგანი დაატყვევეს. შუადღის 2 საათზე გვარდიელებმა თავი მოიყარეს სად. მოლითში, სოფლებიდანაც ჩამოვიდა ხალხი. გვარდიელების შეერთებულმა შტაბმა დაჰკითხა როგორც ხალხს, აგრეთვე დატყვევებულებს მომხდარ ამბების შესახებ. გამოირკვა, რომ ანარქიას ხელმძღვანელობდენ მოლითელი ვაჭრები ძმ. ქუთიძეები, ადგილობრივი მიკიტნები, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და ყოფილი სტრაჟნიკები. დატყვევებულთა შორის აღმოჩნდენ ქუთაისიდან და გორიდან გამოძევებული ჯარისკაცები. ყველა ეს ვაჟბატონები ამავ დღეს გაამგზავრეს ყვირილისკენ, სადაც რევოლიუციონური ტრიბუნალი გაასამართლებს მათ, მხოლოდ ქუთიძეებმა უშველეს თავს და სადღაც მიიმალენ.

ნიკო გურული.

**ახალქალაქის რაიონი** (გორის მაზ.). ამ რაიონის მოქალაქენიც არ ჩამორჩენ ოცდა შვიდ თებერვალს მთელ რუსეთში გამართულს რევოლიუციის დღესასწაულს; ამ დღეს რაიონის ხელმძღვანელ ცენტრის მოწოდების თანახმად სოფელ ახალქალაქში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ყველა საზოგადოებებიდან და ხალხთან ერთათ დღესასწაულზედ მოვიდნენ ყველა სოფლის და საზოგადოებების წითელ გვარდიელთა რაზმები იარაღით ხელში და სამხედრო წესრიგზე დაწყობილნი, მათ მიერ არჩეული ასის და ათის თავების ხელმძღვანელობით. მათ წინ მოუძღოდათ მომღერალთა და დამკვრელთა ჯგუფები და ყველა საზოგადოების წითელი დროშები.

მიტინგის დაწყებამდე ხალხი და წითელ გვარდიელთა რაზმი გაემართა 1905 წელს ნაძალადევში მოკლულ ელიავას საფლავისკენ პატივსაცემათ, სადაც წარმოითქვა სიტყვები მოკლული მებრძოლის რევოლიუციონური მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ სოფელ ახალქალაქში გაიმართა მიტინგი ნ. კ—ის თავმჯდომარეობით, რომელმაც აუხსნა დამსწრეთ ოცდა შვიდი თებერვლის მნიშვნელობა და განსაკუთრებით შეეხო უკანასკნელ საბედისწერო ამბებს, ესე იგი ბალშევიკების საზავო პირობებს კავკასიის შესახებ და ოსმალეთის საფრთხეს და მოუწოდა ხალხს მხარი დაეჭირა ს.-დ. საოლქო ყრილობის გადაწყვეტილებისათვის აუცილებელ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ და რევოლიუციისა და მიწისა და თავისუფლების შესანარჩუნებლათ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებას და საკუთარი ძალ ღონით ყველა რევოლიუციის მიერ მონაპოვართა და ზავის საკითხის ნამდვილ დემოკრატიულათ გადაწყვეტას. მოუწოდა აგრეთვე მხარი დაეჭირათ კავკასიის სეიმისათვის, როგორც ხალხის მიერ არჩეულ საკანონმდებლო დაწესებულებისათვის.

ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ორატ., რომლებიც არსებითად შეეხენ დღევანდელ მომენტს და მისგან წამოყენებულ საკითხებს. მიტინგის გათავებისას კ—მა გადასცა კრებას რაიონის სადგილ მამულო კომიტეტის მიერ გამომუშავებული დროებითი წესები მიწების ჩამორთმევის და მშრომელთა შორის განაწილების შესახებ, რაიც უკვე ბევრგან ცხოვრებაში ტარდება, რასაც შედეგათ მოყვა უმიწო გლეხთა ასე თუ ისე დაკმაყოფილება და უწესოების საგრძნობლათ შემცირება.

ბოლოს კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც პროტესტს უცხადებს პეტ. კომისართა მთავრობას დამღუპველ პოლიტიკის წარმოების გამო; სინანულს გამოსთქვამს კავკასიის დემოკრატიის ჩამოშორების გამო რუსეთის დემოკრატიისაგან, რომლის წყალობით მოვიპოვეთ თავისუფლება და გამოსთქვამს სურვილს, რომ პირველსავე სასურველ პირობების შექმნისთანავე აღდგენილ იქმნეს კავშირი ჩვენ მოძმე რუსეთთან. ახლა კი, აუცილებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლათ ოსმალეთის მხრივ მხარს უჭერს კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებას. შემდეგ კრებამ დემონსტრატიულათ შემოიარა სოფლები და დაიშალა გვარდიელთა წინამძღოლობით. გვარდიელთა ცალკე გამართულ კრებაზე მოლაპარაკეთ აუხსნეს გვარდიის მნიშვნელობა და მიზანი, რასაც უნდა ემსახურებოდეს საზოგადოთ გვარდია. აქვე იქმნენ არჩეულნი ასის და ათის თავები. უწესრიგოთ სროლისა და პატრონების წვის შესახებ გვარდიელთა კრებამ დაადგინა: რომელიც უმიზნოთ დახარჯავს პატრონას და გაისვრის თოფს, პირველათ გადახდება თუმანი, მეორე შემთხვევაში ჩამოერთვას იარაღი და პასუხისგებაში იქმნას მიცემული რევოლიუციონურ ტრიბუნალში.

ამ რაიონში ხუთასამდე შეიარაღებული გვარდიელია უმთავრესად ჯარისკაცებისაგან შემდგარი, რომელიც ემორჩილება მისგან არჩეულ შტაბს და სცნობს მის ხელმძღვანელობას. ამ ჟამათ შტაბი შეუდგა ახალქალაქში მდგომი სამუშაო ბატალიონების საქმეთა ლიკვიდაციას, რადგან მის შტაბის ხელში იმყოფება ცხენები, ფურგუნები და სხვა აუარებელი სამხედრო ქონება. დახმარება საჭირო ამ საქმეში, რადგან ეს სიმდიდრე კერძო ვაჭართა ხელში გადადიოდა.

გ—ი.

## წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გაზეთ „ვოზროჟდენიეს“ მე-48 ნომერში მოთავსებული იყო ღია წერილი ჩემდამი ვიღაც „თავისუფალ მოქალაქისა უბედურ საქართველოსი“. ავტორი აცნობს მკითხველებს, რომ ის კონტრ-რევოლიუციონერი არ არის, თუმცა მისი წერილის შინაარსიდან ვტყობილობთ, რომ ავტორი მისი ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონერია და ისიც დაბალი ღირსების.

ვთვლი რა ჩემი ღირსების დამამცირებლათ გავმართო კამათი „თავისუფალ მოქალაქესთან“, მე მაინც არ შემიძლია გვერდი ავუხვიო იმ ბრალდებას, რომელსაც ავტორი წერილისა უყენებს ჩემდამი რწმუნებულ უწყების კომისრებს და მთელ ს. დ. მენშევიკთა პარტიას.

თავხედი და ყოველივე საფუძველს მოკლებული ბრალდებაა, თითქოს ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა გორის მაზრაში ხდება ჩვენის სახელით. თითქო ჩვენმა კომისარებმა კარგათ იციან, თუ ვინ ახდენს ძარცვა-გლეჯას, მათ ფარავდენ, და აგრეთვე ეს ავაზაკები ჩვენივე პარტიის წევრები იყვნენ. ავტორის აზრით, როგორც გუბერნიის კომისარმა ვიცი ყველა ეს და არ ვიღებ საჭირო ზომებს.

დამტკიცება არ ესაჭიროება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს „თავისუფალი მოქალაქის“ სახით ნამდვილ პროვოკატორთან და კონტრ-რევოლიუციონერთან, რომელიც ავრცელებს თავის ბნელ საქმეს იმ იმედით, რომ რევოლიუციონურ მთავრობას მარტო „კარგი სიტყვების“ თქმა შეუძლიან და არა დასჯა მისგვარ ვაჟბატონებისა. მაგრამ იმედი მწარეთ გაგიცრუვდებათ ბატონო „თავისუფალო მოქალაქევ!“ დე, გაიგონ რევოლიუციის ყველა მტრებმა და აგრეთვე კალმით შეიარაღებულმა ავაზაკებმაც, რომ რევოლიუციონურმა მთავრობამ სასტიკი ომი გამოუცხადა მათ, რაიც შეუძლიანთ გაიგონ „ღია წერილის“ ავტორმა და მისმა ამხანაგებმა გაზ. „ვოზროჟდენიეს“ რედაქციაში რომ მოკალათებულან. გორში, ცხინვალში და გორის მაზრაში მათ შეუძლიათ ბევრი რამ გაიგონ ამის შესახებ.

რაც შეეხება კერძოთ „ღია წერილს“, მე ვიღებ ყოველივე ზომას, რომ გაზ. „ვოზროჟდენიეს“ რედაქტორს მოვთხოვო პასუხი სარევოლიუციო სასამართლოში.

თფილისის გუბერნიის კომისარი ქ. ჯაფარიძე.


ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

ექიმი

**ვ. ვ. კლდიაშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

**ექიმი პ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ნ. ლ. ტერიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის

მედიცინის დოქტორის

**გ. გ. მეგრაბიანცისა**

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანნები, პნევმოტორაქსი, ტუბერკულინისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

**ექიმი ვ. გ. ვეშხაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზნიზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

**ზ. დონხინი**

ყოფილ იასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

**თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,**

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ქალი

**რ. გ. შიოლო-საგაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.


## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **თავისუფალია ქალაქის ინჟინერის ადგილი.** ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, თხოვნა უნდა შემოიტანოს ქალაქის გამგეობაში მდგომარე მარტის 30 რიცხვამდი და თან წარმოადგინოს თავისი „curriculum vitae“. ინჟენერისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა, მასთან პრაქტიკული გამოცდილება, განსაკუთრებით ქალაქის მეურნეობის დარგში. ინჟენერს დაენიშნება წლიურად 6.000 მანეთი (აქედან ძირითადი შტატის ჯამაგირი 3.000 მანეთი და ომისაგან გამოწვეული დამატებითიც 3.000 მანეთი). (3—2)

**თფილისის მუშ. და ჯარ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება.**

1917 წლის 17 დეკემბრიდან გაიხსნა

## სახალხო უნივერსიტეტი

(მიხეილის პრ. № 91)

**იკითხება შემდეგი საგნები:**

| | |
|---|---|
| 1. ასტრონომია | ბექი |
| 2. ანატომია და ადამიანის ფიზიოლოგია | სტავინსკი. |
| 3. მათემატიკა | გეკკერი. |
| 4. ფიზიკა | მეფერტი. |
| 5. გეოგრაფია | მაროზვი. |
| 6. პოპულიარული მედიცინა და გიგიენა | წულუკიძე. |
| 7. რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია | იშკოვი. |
| 8. ლიტერატურის ისტორია | პალმოვი. |
| 9. ძველი წყობილება და რევოლიუცია საფრანგეთში | ჩემოდანოვი. |
| 10. პოლიტიკური ეკონომია | მახვილაძე. |
| 11. საზოგადო შემეცნება უფლებაზე | სტრელკოვსკი. |

**5 მარტიდან მოწვეულია ახალი ლექტორები:**

| | |
|---|---|
| პროფ. მაქსიმოვი | მცენარეთა ცხოვრება |
| პროფ. მიშჩენკო | საზოგადო ბიოლოგია |
| პროფ. ხარაზოვი | შესავალი უმაღლესი მათემატიკისა |
| პრივატდოცენტი სელიხანოვი | ფსიხოლოგია. |
| სტ. ვოლსკი | მარქსიზმის ფილოსოფია. |
| ამ. ლემლეინი | ფიზიკა. |
| ნევტოროვი | ქიმია. |

ლექციები იკითხება საღამოს 7 საათიდან. არავითარი წინასწარი მომზადება მსმენელს არ ესაჭიროება.

## სწავლა უფასოა.

ჩაწერა ხდება დილის 11—1 საათამდე და საღამოს 5—10 საათამდე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში. (3—3)

## თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

მიმდინარე წლის 6 მარტს გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა შესცვალა პროდუქტების და ყოველივე მოსახმარ საგნების შემოტან-გატანის არსებული წესი და დაადგინა შემდეგი:

1) გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად თფილისიდან არ გაიტანება: კარაქი, ერბო, ყველი, საპონი, შაქარი, ჩაი, ასანთი (სფიჩკა), ფქვილი, ძაფი, თამბაქო და თამბაქოს ნაწარმოები, ნავთი, მანუფაქტურა, ტყავი და ტყავეულობა, გოგირდი, შაბიამანი, რკინეულობა (железо сортовое), ლურსმანი, მავთული, სამეურნეო იარაღები, აბრეშუმის თესლი—გრენა, ოთხფეხი საქონელი, სასურსათო პროდუქტები, ხახვი, მწვანილი და ფურაჟი.

2) ნებადართულია დაუბრკოლებლად გატანილ იქმნეს: საგალანტერიო საქონელი, საოჯახო ნივთები, მონპასიე, პამფიუმერია (საპნის გარდა), მინეულობა, ჰურჭელი, ხილი, თხილი, სემიჩქა, საწერი ქაღალდი, სააფთიაქო საქონელი, კონსერვები, და მატყლი.

3) ყოველივე სასურსათო პროდუქტების და საგნების შემოტანა თფილისში ხდება დაუბრკოლებლად, მხოლოდ საჭიროა ადგილობრივ სასურსათო ორგანიზაციების ნებართვა.

ამ დადგენილებასთან ერთად ყველა აქამდე გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი და განკარგულებანი ამ საგნის შესახებ ითვლება გაუქმებულად.

(2—2) გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

მსწრაფლ-ბეჭდავი სტამბა რუხაძისა, ჯაბაუვის შესახვევი, № 1.